

ବ୍ୟାକିଳା

ତାଙ୍ଗକ

୨୦୧୦ ମେ ମୁଦ୍ରଣ ପାତା ୧୦୫

୨

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩ 3 2 6 0  
თამაზ

თამაზითგელოც სამფოთა მფეხლების  
კავშირის უმცელთვისა ღრმანო

13 984

თ ბ ი ვ ი ს ი ს  
—  
1 9 3 8

No 2  
თემატიკა

## Ց Ա Ն Ա Հ Ա Տ

### Աթե. ՈՅԱԵՐԱՑՈՒՍ ԽՎԻՇՈՂՈ ՀԱ ԱԹԵ. ՄՅԱԼՈՅՈՒՍ ՎԱՍՄԱՑՈՒ

	Ճ
ա. Պանոցո — Օմեանաց Տրալունս	3
բ. Տրալունո — Պամպի Օմեանաց Պանց Պոլո- չյես-ցյ Պանոցս	5

### ՑԵՎԱՑԿԱՑՈՒՆՈ ԸՆԴՑՎԱԿԱՑՈՒՆ

Ցոռքցո Ցոռքցունուն — Տոմլուրա Ցոռքցունուն	10
Տոլունան Անվանունուն — Լազրենտուն Ցոռքցունուն	12
Ցոռքցունուն — Տոմլուրա Ցոռքցունուն	14
Ապոլոն Ջութելուն — 25 Եղերցալուն	16
Ոռքց Եռնշանուն — Վուգլահմունուն Տոլունան	18
Ալեյքոն Շենցանուն — Մյեսանցանուն	19
Ցալցա Ամոսունուն — Տոմլուրա Ցալցա Ամոսունուն	21
Ցոռքցունուն Անանուն — Եղերցալուն Ցոռքցունուն	22
Ցոռքցունուն Ջուհինուն — Իցենս Արմանուն	23
Ալեյքոն Տոմլուրա Տոմլուրա Արմանուն	25
Ա. Ցոռքցունուն — Ցոռքցունուն	27
Ցանքունուն Ինունուն — Շենցանուն	32

### ՏԱԼՔՆՈՒՐՈ ՑԵՎԱՑԿԱՑՈՒՆ

Համեմատուն Համեմատուն Համեմատուն — Տոմլուրա Համեմատուն	47
--	----

### ՑՀՈՒՈՒ

ՀՀ. Համեմատուն — Տոմլուրա Համեմատուն	49
ՀՀ. Ցոռքցունուն — Տոմլուրա Համեմատուն	58



Ճ. Յուհովովով

ამხანაგ სტალინს

საქ. ალკა კურსების ოლგის მანტუროვსკის რაიონის რაიონის შტატის პროპაგანდის ტიუბის ივანე ფილიპეს-ძე  
ივანევისაგან

ქვირფასო ამხანაგო სტალინ, დაბეჯითებით გთხოვთ განმიმარტოთ შემდეგი საკითხი: ჩვეულება და კომიკავშირის ოლქების მიერ მომზადებად ესმით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ე. ი. წინააღმდეგობათა პროცეს ჯგუფს ურევენ მეორეში. თქვენს შრომებში — საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ბედის შესახებ — ლაპარაკია წინააღმდეგობათა ორ ჯგუფზე — საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებზე.

წინააღმდეგობათა პირველი ჯგუფის შესახებ გასაგებია, რომ ჩვენ ასინი გადავჭირით, სოციალიზმია გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის შიგნით.

მე მინდა მივიღო პასუხი წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფზე, ე. ს. სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. თქვენ მიგვითითებთ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ნიშნავს საგარეო წინააღმდეგობათა გადაჭრას, იმას, რომ გვქონდეს სრული გარანტია ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის რესტავრაციისაგანაც. წინააღმდეგობათა ამ ჯგუფის გადაჭრა კი შხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა ძალონით შეიძლებაო.

ამხანაგი ლენინიც ამასვე გვასწავლილა — „საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით, მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა შეერთებული ძალონით“.

როცა ვიყავი საკ. ალკა ოლქების შტატის პროპაგანდისტოა სემინარზე, მე თქვენს შრომებს დავეყრდენი და ვსთქვი, რომ სოციალიზმის საბოლოო გმარჯვება შეიძლება მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ოლქების მუშაკები — უროვენება (კომიკავშირის ოლქების პირველი მცირებანი) და კაზელკოვი (ინსტრუქტორი პროპაგანდის დარგში) ჩემს გამოსვლას აფასებენ, როგორც ტროკუსტულ გამოლაშქრებას.

მე დავიწყე მათთვის ციტატების კითხვა თქვენი შრომებიდან ამ საკითხზე, მაგრამ უროვენცომ წინადაღება მომცა დამეჭურა სამტომეულადა სთქვა, რომ „ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა 1926 წელს, ახლა კა უკვე 1938 წელია, მაშინ ჩვენ საბოლოო გამარჯვება არ გვქონდა, ახლა კი გვაქვს და ახლა ინტერვენციასა და რესტავრაციაზე სრულიადაც არ უნდა ვთიქრობდეთო“; შემდეგ ის ამბობს — „ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“. ამგვარად, მე ტროცკიზმის ხელშემწყობად ჩამთვალეს, მომხსნეს პროპაგანდისტული სამუშაოდან და დააყენეს კომქავშირში ჩემი ყოფნის საკითხი.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, განმიმარტოთ, გვაქვს თუ არა ჩვენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება თუ ჯერ კიდევ არა გვაქვს? შესაძლოა, მე ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე დამატებით თანამედროვე მასალა ან საკითხზე; თანადროულობაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მე ავრეთვე ანტიბოლშევიკურად მიმაჩნია უროვენცოს განცხადება, რომ ამხანაგ სტალინის შრომები ამ საკითხზე ცოტათი მოძველდათ. და სწორად მოიქცნენ თუ არა ოლქების მუშავები, როცა მე ტროცკისტად ჩამთვალეს: ეს ჩემთვას მეტად საწყენი და შეურაცხმყოფელია.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე და მიპასუხეთ მისამართით: კურსების ოლქის მანტუროვსკის რაიონი, ზაემსკის 1-ლი სოფსაბჭო, ივანე ფილიპესძე ივანოვს.

## II. ივანოვი

თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ, ამხ. ივანოვო, ხოლო თქვენა  
ძღვური მოწინააღმდეგენი, ე. ი. ამხანაგები უროვენჯო და კაზელკოვი —  
არ არიან მართალნი.

და აი რატომ.

უეჭველია, რომ ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში სო-  
ციალიზმის გამარჯვების საკითხს ორი სხვადასხვა მხარე აქვს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის პირველი მხა-  
რე მოიცავს ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასების ურთიერთდამოკიდებულე-  
ბათა პრობლემას. ეს არის საშინაო ურთიერთობათა დარგი. შეუძლია  
თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს დასძლიოს წინააღმდეგობანი ჩვენს  
გლეხობასთან და მოაგვაროს მასთან კავშირი, თანამშრომლობა? შეუძ-  
ლია თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ჩვენს გლეხობასთან კავშირი  
დაამარცხოს, ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია, ჩამოართვას მას მიწა, ქარხ-  
ნები, მაღაროები და სხვ. და თავისი ძალებით ააშენოს ახალი ზეკლიან  
საზოგადოება, სრული სოციალისტური საზოგადოება?

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის პირველ  
მხარესთან დაკავშირებული პრობლემები.

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ პრობლემებზე. ლენინი გვას-  
წავლის, რომ „ჩვენ გვაქვა უველაფერი, რაც კი საჭიროა სრული სო-  
ციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.“ მაშასადამე, ჩვენ შევვი-  
ლია და უნდა ვძლიოთ საკუთარი ძალებით ჩვენს ბურჟუაზიას და ავა-  
შენოთ სოციალისტური საზოგადოება. ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და  
სხვა ვაჟბატონები, რომელნიც შემდეგში ფაშიზმის ჯაშუშები და აგენ-  
ტები გახდნენ, უარყოფნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შე-  
საძლებლობას, თუ სხვა ქვეყნებში, კაპიტალისტურ ქვეყნებში წინასწარ არ  
გაიმარჯვებდა სოციალისტური რევოლუცია. ამ ვაჟბატონებს არსებითად  
უნდოდათ ჩვენი ქვეყნის მობრუნება უკან, ბურჟუაზიული განვითარე-  
ბის გზაზე, ჰეთარავდნენ რა თავის განდგომილებას ყალბი მითითებე-  
ბით სხვა ქვეყნებში „რევოლუციის გამარჯვებაზე.“ სწორედ ამაზე  
ჰქონდა დავა ჩვენს პარტიას ამ ვაჟბატონებთან. ჩვენი ქვეყნის განვი-

თარების შემდგომმა მიმდინარეობამ ცხადჰყო, რომ პარტია მართალი კყო, ხოლო ტროცი და კომპანია არ იყვნენ მართალნი. იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უკვე მოვასწარით მოგვეხდინა ჩვენი ბურ-უუაზის ლიკვიდაცია, მოგვეგვარებინა ძმური თანამშრომლობა ჩვენს გლეხობასთან და ძირითადად აგვეშენებინა სოციალისტური საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ რევოლუციას სხვა ქვეყნებში არ გაუმარჯვნია.

ასეთ მდგომარეობაშია პირველი მხარე საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

მე ვფიქრობ, ამს. ივანოვო, რომ თქვენი დავა მჩ. ამს. უროვენჯოია და კაზელკოვთან ეხება საკითხის არა ამ მხარეს.

მეორე მხარე საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მოიცავს ჩვენი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემას, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის სხვა ქვეყნების ბურუუაზისთან ურთიერთობის პრობლემას. ეს საგარეო, საურთაშორისო ურთიერთობის სფეროა. შეუძლია თუ არა ერთი ქვეყნის გამარჯვებულ სოციალიზმს, რომელიც გარემოცულია მრავალი ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნით, სავსებით გარანტირებულად ჩასთვალოს თავის სამხედრო შემოჭრის (ინტერვენციის) საფრთხისაგან, და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის ცდებისაგან? შეუძლია თუ არა ჩვენს მუშათა კლასს და ჩვენს გლეხობას საკუთარი ძალებით, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის სერიოზული დახმარების გარეშე, სძლიონ სხვა ქვეყნების ბურუუაზის ისევე, როგორც მათ სძლიერ თავის ბურუუაზის? სხვანაირად რომ ვსთქვათ: შეიძლება თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში მივიჩნიოთ საბოლოოდ, ე. ი. სამხედრო თავდასხმის საფრთხისაგან და კაპიტალიზმის აღდგენის ცდებისაგან თავისუფლად, მაშინ როდესაც სოციალიზმის გამარჯვება გვაქვს მხოლოდ ერთ ქვეყანაში, კაპიტალისტური გარემოცვა კი განაგრძობს არსებობას?

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის მეორე შესრულება დაკავშირებული პრობლემები.

ლენინიზმი ამ პრობლემებზე უარყოფითად უბასუხებს. ლენინიზმი გვასწავლის, რომ „სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ბურუუაზულ ურთიერთობათა რესტავრაციისაგან სრული, გარანტიის აზრით შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით“. (იხ. საკ. კ. პ. (ბ) XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუცია). ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზული დახმარება წარმოადგენს იმ ძალას, ურომლისოდაც არ შეიძლება გადაიჭრას ამოცანა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ერთს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ინიშნავს, რომ თვითონ ჩვენ, გარედან დახმარების მოლოდინში, გულხელდაკრეფილი უნდა ვისხდეთ. პირიქით, დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ შეერთებული უნდა იქნას ჩვენს მუშაობასთან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის გაძლიერებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის მობილიზაციისათვის. სამხედრო

თავდასხმასთან და ბურუუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციის ცდებ-  
თან საბრძოლველად.

აი რას ამბობდა მის შესახებ ლენინი:

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელ-  
მწიფოთა სისტემაშიც, და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხნით არ-  
სებობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გვერდით წარმოუდგენე-  
ლია. ბოლოსდაბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე, ხოლო  
ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაში-  
ნელესი შეჯახებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურუუაზიულ სა-  
ხელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა  
კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს ბატონობა და თუ იგი  
იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაცი-  
ოთაც“ (ტ. XXIV, გვ. 122).

და შემდეგ:

„ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავ-  
რობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ჩვენდამი.  
უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენ მუდამ ბეჭვ-  
ზე ვკიდივართ“ (ტ. XXVII, გვ. 117).

თათქვაშია მკვეთრად და მაგრად, მაგრამ პატიოსნად და გულმართ-  
ლად, შეულამაზებლად, ისე, როგორც იცოდა ლაპარაკი ლენინმა.

ამ წანამძღვართა საფუძველზე სტალინის „ლენინიზმის საკითხებში“  
ნათქვამი იყო:

„სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია  
ინტერვენციისა და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ვინაი-  
დან რესტავრაციის რამდენადმე სერიოზული ცდა შესაძლოა მხო-  
ლოდ გარედან სერიოზული დახმარების დროს, მხოლოდ საერთა-  
შორისო კაპიტალის დახმარების დროს. ამიტომ ჩვენი რევოლუ-  
ციისათვის მხარის დაჭერა ყველა ქვეყნის მუშების მიერ და მით  
უმეტეს. ამ მუშების გამარჯვება, თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში,  
წარმოადგენს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან პირ-  
ველი გამარჯვებული ქვეყნის სრული გარანტიის აუცილებელ პი-  
რობას, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირო-  
ბას“. („ლენინიზმის საკითხები“, 1937 წ., გვ. 134).

მართლაც, სასაცილო და სისულელე იქნებოდა თვალები დაგვეხუჭუ-  
და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრა,  
რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა  
შეიცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირ-  
ზე. ასე ფუქრი შეუძლიათ. ხოლო ბრმა ბაჭიებს ან ფარულ მტრებს, რო-  
მელთაც სურთ მიაძინონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის  
უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების შემთ-  
ხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ  
მიერ დაკავებულ რაიონებში და ალადგინონ ბურუუაზიული წყობილება.  
განა დენიკონი ან კოლჩაკი არ ალადგენდნენ ხოლმე ბურუუაზიულ წყო-

ბილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რით სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს? სამხედრო ორტერვენციისა და რესტავრაციის ცდების საფრთხის უარყოფა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროს შეუძლიათ მხოლოდ უთაურებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ ბაქიობით დაპფარონ თავისი მტრობა და რომელნიც ცდილობენ ხალხის დემობილიზებას. მაგრამ შეიძლება თუ არა საბოლოოდ მივიჩნიოთ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუ ეს ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება და თუ იგი საცხებით არ არის უზრუნველყოფილი ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხისაგან? ცხადია, რომ არ შეიძლება:

ასეთია საქმის უითარება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საჭითხის მხრივ.

გამოდის, რომ ეს საკითხი შეიცავს ორ სხვადასხვა პრობლემას: ა) ჩვენი ქვეყნის საშინაო ურთიერთობათა პრობლემას; ე. ი. თავისი ბურუაზის დაძლევის და სრული სოციალიზმის აშენების პრობლემას, და ბ) ჩვენი ქვეყნის ხაგარეო ურთიერთობათა პრობლემას, ე. ი. სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეთაგან ჩვენი ქვეყნის სრული უზრუნველყოფის პრობლემას. პირველი პრობლემა უკვე გადაჭრილა ჩვენს მიერ, რაღაც ჩვენი ბურუაზია უკვე ლიკვიდირებულია და სოციალიზმი ძირითადად უკვე აშენებულია. ამას ჩვენში ეწოდება სოციალიზმის გამარჯვება, ან უფრო ზუსტად, სოციალისტური მშენებლობას გამარჯვება ერთ ქვეყანაში. ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს გამარჯვება საბოლოოა, ჩვენდ ქვეყანა რომ კუნძულზე იმყოფებოდეს და მის გარშემო რომ არ იყოს მრავალი სხვა, კაპიტალისტური ქვეყანა. მაგრამ რაღაც ჩვენ ვცხოვრობთ არა კუნძულზე, არამედ „სახელმწიფოთა სისტემაში“ რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მტრულად ეკიდება სოციალიზმის ქვეყანას და ჰემის ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეს, ამიტომ ჩვენ აშკარად და პატიოსნად ვაშბობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო. მაგრამ აქედან გამომდინარეობს რომ მეორე პრობლემა ჯერ არ არის გადაჭრილი და ჯერ კიდევ მოვახდება მისი გადაჭრა. უფრო მეტი: მეორე პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია იმავე წესით, როგორითაც გადავჭერით პირველი პრობლემა, უ. ი. მარტო ჩვენი ქვეყნის საკუთარი ჩაღლონით. მეორე პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალით სერიოზული დაძაბვის შეერთებით მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ძალით სერიოზული კიდევ უფრო სერიოზულ დაძაბვასთან. საჭიროა გაძლიერდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირურითერთობანი ბურუუაზიული. ქვეყნების მუშათა კლასთან; საჭიროა მოეწყოს ბურუუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის პოლიტიკური დახმარება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყოველგვარი დახმარება ბურუუაზიული ქვეყნების მუშათა კლასისადმი; საჭიროა

ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი; საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლით მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ თინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელი...

თქვენი წერილიდან სჩანს, რომ ამხ. უროვენჯო აღგია სხვა, არასავსებით ლენინურ შეხედულებებს. იგი თურმე ამტკიცებს; რომ „ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. უროვენჯო სრულიად არ არის მართალი. ამხ. უროვენჯოს ასეთი მტკიცება შეიძლება აიხსნას მხოლოდ გარემო სინამდვილის გაუგებლობით და ლენინიზმის ელემენტარულ დებულებათა უცოდინარობით, ან კიდევ თავგასული ახალგაზრდა მოხელის ცარიელი ბაქიობით. თუ ჩვენ მართლაც „გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“, მაშინ საჭიროა თუ არა ჩვენთვის ამის შემდეგ ძლიერი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, ძლიერი თავდაცვა-ავიაქიმი, ინტერნაციონალურ პროლეტარულ კავშირ-ურთიერთობათა გაძლიერება და განმტკიცება? უმჯობესი არ იქნება მილიარდობით ფული, რაც წითელი არმიის გაძლიერებაზე, მიღის, მოვახმაროთ სხვა საჭიროებებს, ხოლო წითელი არმია შევამციროთ მინიმუმამდე, ან სრულიად დავშალოთ კიდევაც? ასეთი ადამიანები, როგორიცაა ამხ. უროვენჯო, თუნდაც ისინი სუბიექტურად ჩვენი საქმის ერთგულნი იყვნენ, ობიექტურად საშიშნი არიან ჩვენი. საქმისათვის, რადგან ისინი თავისი ბაქიობით ნებსით თუ უნებლიერ (ეს სულ ერთია!) აძინებენ ჩვენს ხალხს, ადემობილიზებენ მუშებს და გლეხებს და ხელს უწყობენ მტრებს მოულოდნელად თავს დაგვესხან საერთაშორისო გართულებათა შემთხვევაში.

ჩაც, შეეხება იმას, ამხ. ივანოვო, რომ თქვენ, ჟურნალის მოგხსნეს პროპაგანდისტული მუშაობიდან და დასვეს საკითხი კომკავშირში ყოფნის შესახებ“, თქვენ ამისი არ უნდა გეშინოდეთ. თუ ადამიანები საკოლეგიანო მართლაც მოისურვებენ დაემსგავსონ ჩეხოვის უნტერ-ოფიცერს პრიშიბეევს, ეჭვი არ უნდა შეგებაროს, რომ ისინი წააგებენ ამით. ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ პრიშიბეევები.

ახლა თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, მოძველდა თუ არა ცნობილი აღგილი წიგნიდან „ლენინიზმის საკითხები“ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამსრუჯვების საკითხზე. მე თვითონ ძალიან მინდა, რომ იგი მოძველდეს, რომ ქვეყნაც აღარ იყოს ისეთი არასასიამოვნო რამები, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა. სამხედრო თავდასხმის საშიშროება, კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროება და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არასასიამოვნო რამები ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას.

## ი. სტალინი

# მხატვრული ცოტკოსტება

გიორგი გიასელი

## ქიმოლი და რა ვ ვ ა მარმარები

ყრმობილანვე გზარდა კობამ  
გმირი, მხნე და უშიშარი.  
თქვენი მტკიცე მეგობრობა  
უკვდავ ხალხის გულში არა.  
დიდ სამშობლოს მიეც ფიცი  
და ხარ მტერთა მძიმე რისხვა,  
მოსისხლეებს ჩვენი მიწის  
არ დაუთმობ არც ერთ მისხალ!  
მოლაშქრეთა შორის დგეხარ  
და გაწყდება ურა-ვაშა.  
დროშა ძირს არ დაგიხრია,  
ვიწოდებენ პირველ მარშალს.  
შენ სამშობლოს საზღვრებს იცავ,  
გიჭრის თვალი... გერჩის გული.  
საბჭოეთის დიად მიწას  
უფლი უჭინობ სიყვარულით.  
არ მომკვდარა, ვინც გიმლერა  
ბავშვობაში ტკბილი ნანა,  
უდარაჯებს გულთა ძერა  
ჩვენი ქვეყნის ოქრო-ყანას.  
როგორც ლომი, როგორც ვეფხი  
ხარ ძლიერი... გულმაგარი.  
მტრის რისხვა ხარ, წელში ვერ გხრის.  
განკლალ დღეთა ნიაღვარი.  
გვატკბობს აწმყოს ლხენა, ვალი,  
კვლავ შევხვდებით მომავალ ომს.  
მილიონთა გული, თვალი  
გესალმება რკინის სახკომის.

სალამს გიძლვნის აღტაცებულს  
ხალხი გმირს და შეუდრეკელს,  
გამარჯვებულ ქვეყნის ერთგულს,  
გაურღვეველ თუჯის კედელს.  
ჭინ მიუძლვი ურიცხვ ლაშქარს,  
ცეცხლში შეხვალ... რა დაგლალავს,  
რადგან შრომის წმინდა დაცვა  
თვითონ ხალხმა დაგავალა.  
შენ სიმშვიდის ნათელ გრძნობას  
სჭედავ... გული ტკბება, ხარობს.  
გვინდა ვარდის ასი კონა  
შილიონჯერ მოგაყაროთ!  
ხარ ნაწრობი რვალი-რკინა,  
სმალი ორმხრივ გაპირული.  
ხალხმა მოგცა გულში ბინა  
ვაჟკაცური და გმირული.  
შენ დაზარდე და ახარე  
ჰეთხი თოფთან შერკინული.  
შენს ძახილზე დიად მხარეს  
დაიცავენ ერთი გულით.  
უგალობენ კიდით-კიდე  
შენს გმირობას მჭუხარ ვაშას, —  
შენ მიეცი გულს სიმშვიდე,  
გესალმებით პირველ მარშალს!  
სიხარულის თრთოლა გვმოსავს,  
რომ გვიდგეხარ ურყევ ფარად —  
მაღლა მიგაქვს ბრძოლის დროშა,  
სტალინმა რომ ჩაგაბარა.

## რაჭოუნი ბერიას

ქვეყანა წინათ ნარ-ეკლიანი  
ააყვავილე ია-ვარდებად;  
არის ბალების წყნარი შრიალი  
და ცის თალებში განავბრდება.  
ვაჟი თუ ქალი — თმაგი შრიანი —  
შემოგხედავენ, გაუხარდებათ,  
შენზე მოხუციც — მრავალხნიანი —  
ჭაბუკის მკერდით ახმიანდება.  
შენი სახელის მზე და დიდება  
ჩვენი რიგების სიმტკიცე არი:  
იგი არასდროს დაიბინდება,  
განთიადივით ხალხებში მღვარი.

ხალხი უმღერის გმირებს, ტიტანებს,  
გულის იმედად მუდამ გვეგულვი;  
შენ სიხარულის მზე მოგვიტანე,  
სტალინის სიბრძნით გაბრწყინვებული.

მძიმე წარსულის დღეთა შფოთებში  
მზეს ვერ ვხედავდით ბებერ ქოხიდან,  
მაგრამ დავძლაეთ ბარში თუ მთებში  
ტანჯვა, რომელიც ლომსაც მოხრიდა,  
დღეს გადაესახლდით ახალ ოდებში.  
გუმღერით მზეს და ახალ კოლხიდას.

სამშობლოს გმირებს სად არ უვლიათ:  
მიწას ლარავენ, ცაში მიპქრიან;  
შენი სიტყვები სიხარულია,  
ხალხის საქმე და ხალხის ფიქრია.

ყველგან შენი მზე არის ჩამდგარა,  
ვხარობთ სოფელში, ვხარობთ ქალაქიდ,  
სახლში სიხარულს გავუღეთ კარი.  
და შემოდგომის ულევ ბარაქას.

ჟრთად გვამლერებს ეს განთიაღი  
და სიხარულის გვიღგას დარება; —  
შენ შემოგხარის ხალხი დიაღი,  
ველი მორთული ყვავილნარებით.

თუ ჩვენზე ვინშე სამტროდ მოვარდა,  
გაუმკვლავდება ხალხის მახვილი;  
მუდამ გვამაგრებს ურყევ ფოლადად  
შენი იმედი და შეძახილი.

არ დაიხრება დროშები ერთა,  
სამშობლოს მკერდი ხარობს, მზიანობს,  
ჩხარე, მუდამ ბელადთან ერთად,  
ჩვენი სიცოცხლის თანაზიარო!

## მარათი სირიტი

არ დამმშვენდება,  
დიაცივით თვალში ნუ მაწვიმს  
ეს მწუხარება  
დაუშრეტელ ცრემლის ჩანჩქერად,  
მზად ვიყავ  
სისხლი მშობლისური  
გამეღლო ყმაშვალს  
შენი სიკოცხლის  
საუკუნო გადასარჩენად.  
დაეცი უცებ  
და იერი ვარდის ფერადი  
არ ჩაგქრობია,  
კვლავ ჭრაფობ, კვლავ ილიმები.  
ისევ კრემლში ხარ  
და გეხვევა დიდი ბელადი:  
ულერს უკვდავებას  
შენი ხალხის ჩანგის სიმები.  
დაეცი უცებ.  
შეზრიალდა მთები ზვიალი,  
გლოვის წუთები შეეფარდნენ ოდების ერდოს...  
მსოფლიოვ, გესმის?!.  
დედამიწავ, შენც შეზრიალდი:  
— დაეცა სერგო.  
გესმის, მსოფლიოვ?!.  
ეს სიმღერა ხალხის გულია,  
ხედავ?  
წამით ალისფერი დროშაც დავხარეთ.

ვგლოვობთ და  
ჰაინც  
არ გვაჩნია დარღი სრულიად.  
სერგოც აქ არის.  
კვლავ სამშობლოს ბედი ახარებს.  
არ დამმშვენდება,  
დიაცივით თვალში ნუ მაწვიმს  
ეს მწუხარება  
დაუშრეტელ ცრემლის ჩანჩქერად.  
მზად ვიყავ  
სისხლი მშობლიური  
გამეღო ყმაწვილს  
ღიად სიცოცხლის  
საუკუნო გადასარჩენად.

## 25 ოქტომბერი 1910

(ჩვენი თაობის სიმღერა)

მზისა და ვარდის იერით  
კვლავ თებერვალი გვეწვია,  
რომელსაც მკვლავით ძლიერით  
შორქილი დაულეწია.  
მოჰქმოდა დროშა უშიშრად,  
ვით ცეცხლი მანათობელი,  
სისხლში შეზრდილი მუშის ხმა  
უტეხი, დაუდგრომელი,  
ხალხთა უფლება დიადი,  
შუქმოსილი და ცხოველი,  
მზე დაჰთრქვეოდა ზვიადი,  
ბნელეთის ჩამაქრობელი.  
ბეღნიერების მზე ელავს,  
სამშობლოს მაშუქებელი,  
სტალინის აზრმა ნათელმა  
მოგვცა ცხოვრება ქებული;  
შვეგვმატა ძალა მუხლებში,  
გვასვა სიცოცხლის ნექტარი,  
გვასწავლა ბრძოლა უტეხი,  
მძაფრი და დაუდეგარი.  
შუქთამფრქვეველი ცხოვრება  
დაუზამთრელი ბალია,  
საღაც სიმღერა ცხოველი  
ფრინველებავით ლალია.,  
რა საამოა სიმები,  
ცეცხლმოდებული რხეული,  
მზე ჩაუქრობი სხივებით  
სამშობლოს გადახვეული!  
ხარბს გული და გონება,  
ყველგან სიმღერის ხმა ისმის,  
ღროშების ასხივოსნებამ  
შეკრიბა დღეთა ხალის.

მოგვაქვს სიმღერა საერთო  
გრძნობათა სიმხურვალეში,  
უჭინობი სხივი აენთო  
ჩვენს მოელვარე თვალებში.  
თბილისი მზეში ჩასული  
ვარსკვლავებივით ინთება;  
ღაღადებს გული და სული  
შუქმოსილ დღეთა ზვირთებად.  
ლენინის ბალში ვიზრდებით  
გულშტკიცე სტალინელები,  
სიმღერა ნაგიზგიზები  
მხარეს მოვფინოთ ელვებით.  
ელავს დროშები ალისფრად,  
ჩვენი გულებიც მღერიან:  
ვაშა და ვაშა სტალინს და  
ვაშა და ვაშა ბერიას!

13 984

## ნითარმოვი სოფო ა დ

შემოეგებნენ ამხანაგები  
შვებულებაში ჩამოსულ მხედარს;  
წარსულის ცეცხლით ნაჭირმაგებს  
შვალს შეხაროდა მოხუცი დედა.  
ჩამოიარეს სოფლის ქალებმა,  
შებრძოლს შეხედეს ჩუმი ალერსით.  
ცა კაშკაშებდა და სხივთვალება  
მზე იწვებოდა ყვავილნარებში.  
შეხვდა სოფელია განახლებული, —  
გამარჯვებული ხალხის ოცნება,  
ახალგაზრდობა მუდამ მხნე გულით  
და სიხარულის გასხივოსნება.  
არ გაიხარებს მარჯვენა განა,  
ამ დოვლათიან მიწის პატრონი?!  
კოლექტიველთა შორის ჩამდგარა,  
როგორც გმირი და აგიტატორი.  
მებრძოლს თვალთაგან სცვივა ისრები,  
ზეცა ღიმილით თავზე დასცექის;  
საუბრობს წყნარად ხალხის ღირსების  
და დიდ სამშობლოს მტკიცე დამცველი.  
მზე ბრწყინვა...  
ხალხის გულშიც მზე არი;  
ვარდები ტოტებს არხევენ ნელა,  
და კავკასიის თეთრი მწვერვალი  
ვოროშილოვის ხმალივით ელავს

ალექო შენგალია

## მუსაზორი

დგეხარ, ფარაჯა რუხი ფრიალებს,  
არწივის თვალებს ცეცხლით აივსებ,  
როგორც მაისის გრძვინვა გრიალებს,  
ძლიერი ხარ და რისხვა ხარ ისე!

აქ საზღვარია და ცოტა იქით  
უცხოა მიწის გარემოება,  
ვაჟკაცურ გულში გიზრდია ფიქრი.

ვალმა გაჰყურებ სოფლის მოედანს.

იმ სოფელშიაც ძმები გეგულვის,  
რომ თავისუფალ მიწას ნატრობენ,  
მათი აზრი და გულში დებული,  
შენი მიწა და შენ ხარ მარტოდენ.

ორგვლივ არწივის თვალს დაანათებ.  
გრძნობ ორ მიწას და ორგვარ სამყაროს,  
გინ ულალატებს ფიცად დანადებს,  
სამშობლოს დროშა ძირს ვინ დახაროს!

ჰყვავის ხალით და აზრას სივრცე,  
უფრო შორსაა. უფრო ღრმად არი,  
შზად ვართ სამშობლოს სიცოცხლეც მივსცეთ,  
რადგან სამშობლო არ გვაქვს ბადალი.

აქ საზღვარია, იგონებ ტოლებს,  
რომ უმღერიან მზეს და სიხარულს,  
მათი სიმღერა არ მიგატოვებს.  
მუდამ დაგიტკბობს მათი სიტყვა გულს.

ჩვენი სამშობლოს ტყე და მინდორი.  
ჩვენი ცხოვრების აღორძინება,  
შენ გიმღერიან და მას უმღერი  
შენც ვაჟკაცობის უხვი დინება.

მზედ ანთებული, ჩვენი ოჯახის  
შტრებზე რისხვა და ორლესილბ ხარ,  
მარტო არა ხარ, ბევრი მოგძახის,  
ბევრი უზრდია შენებრ გმირი ხალხს.

დგეხარ საზღვარზე, არწივის თვალით  
შორით მოხაზუ მტრის საბანაკოს,  
შენ ხარ სამშობლოს ვაჟკაცის გვარის  
და ვაჟკაცობამ გიამხანაგოს.

ჩემი ლამაზი ქვეყნის ხალისო,  
ჩემი სამშობლოს გულო ნათელო,  
მზად ხარ ერთიან რისხევად აიგსო.  
გმირული დროშა რომ გვისახელო.

თუ ჩვენი მკლავიც საჭირო გახდა,  
გულიც მზად არი, მკლავიც მზად არი,  
რადგან ჩვენ, ჩვენი სამშობლოს გარდა,  
არ გვაქვს სამშობლო ამის ბადალი.

## სიძლია ნაომარ შაშხახაში

ვის ხელებში ელვარებდი;  
ვინ გაქუხა გამალებით?  
ვინ გაჩვენა დაკვამლული  
უნაპირო ტრამალები?  
ნეტავ, როგორ გაღიტანე  
ცეცხლი, სეტყვა,  
წვიმის თქეში?  
რამდენ დუშმანს დაჰყარ ტყვია  
დახვითქებულ საქოჩრეში?..  
იქნებ შენი ალამდარიც  
დაეცა და ჰსურდა შველა,  
ვერ წამოდგა,  
ვადეფარა  
ტყვიაწამლის ხორხოშელა?  
იქნებ გრიგალს გაღაურჩა,  
გაზაფხულის ქვეყნით ტკბება,  
და თან ზოგჯერ მისი შუბლიც  
მოგონებით ითუტკრება?...  
ხვალ მე და შენ უნდა შევხვდეთ  
ამოვარდნილ ქარიშხალებს!  
სადღეისოდ ესეც კმარა,  
რომ ოცნება გაღმიშალე!..  
ნატყვიარო, ნაომარო,  
ტყვიის ტყორცნა კიდევ გმართებს!  
ოქროს ბუდეს მოგიძებნი,  
თუ გმირობა გამიმართლე!..

## ორბილი ტერიკი

წამოცკიდებს მთების ნახევარს,  
გაიტანს ზვავს და გვერდს არ შეუვლის,  
აქ აღვილია თერგის დალევა,  
მოდი გავხდები თერგდალეული.

მოდი გულისთქმას ჭანდობ ტალღიანს,  
ჩავალ, ჩავირბენ გზას ჩასავალზე...  
მორბის თერგი და თან მოსძახიან  
ორბელიანი და ჭავჭავაძე.

განა პირველად ვხედავ მყინვარებს,  
ან მდინარეებს ხელს და შლეგიანს?..  
მინახავს ჩვენში ყველა მდინარე,  
ჩავაკებამდის ყველა თერგია.

მაგრამ სხვა არის თერგის ჭრიალი,  
ნგრევა და ქვების გადაგორება...  
ნელა მივყვები ხევს ფიქრიანი,  
მარტო სიზმარი და შთაგონება.

ეს მთები ირგვლივ პირველად მაკრავს,  
ათეთრებიათ ცამდე წარბები...  
დადექი თერგო, მლვრიე ხარ, მაგრამ  
წუთით ხარივით დაგეწაფები!

აი, ნაპირზე ვდგევარ ნაფოტი,  
მოჰკალ გულის და თვალის წყურვილი....  
რა ვიწრო არის ეგ კალაპოტი,  
რა დაწმენდილი და მიწურვილი!  
რა არი ხევი?

— პატარა თერგი,  
ბეჭვის ხიდები, ზედ მთვარეული...  
ლექსების ხათრით დავლიე თერგი,  
აღვილად გავხდი თერგდალეული.

# ჩამის ტრიას

ჩვენო არმიავ,  
ხარ უძლეველი,  
ხარ სიამაყე  
გმირული რწმენით!  
სად არ განთქმულა  
შენი სახელი,  
სამყარო იძერის  
მსვლელობით შენით!  
თვალნი ელვათა  
კვესით გიკრთიან,  
გულის სიმაგრე  
გახლავს კაუისა,  
შუბლზე ვარსკვლავი  
წითლად გინთია,  
მიაფრენ დროშებს  
გარიერაუისას.  
გამარჯვებანი  
გაქვს უთვალავი,  
ვერ შეგედრება  
ვერსად ვერავინ,  
ხარ უშიშარი,  
მტერთა მზარავი,  
დიდ საბჭოეთის  
მცველი, მზვერავი!  
თუ ქარიშხლიან

მძიმე წლების დროს  
შენთან მხარდამხარ  
ვებრძოდით მტერთა, —  
დღეს უფრო მკვეთრად  
და უფრო მჭიდროდ  
მზად ვართ ვეკვეთოთ  
მტარვალებს ერთად!  
და რომ ჰყვავოდეს  
სამშობლო მხარე,  
რომ არ შელახონ  
მისი ღირსება, —  
იდექ,  
იფხიზლე  
შიგნით და გარეთ,  
კადრე მტერი მთლად  
გაისრისება!

ალექსანდრე საჯაია

# სომხითმი

მტკვარი და არეზი მიჯნურებია.

სომხური თქმა.

## ორი მდინარე

მე, მზის ფერების ეშით დამტკბარი,  
ვეხვეწებოდი არეზის ტალღას:  
მრავალეამიერს მიმღერდა მტკვარი,  
მო, შენც სომხურად მიმღერე რაღაც.

თითქოს ისმინეს ჩემი ქართული,  
თითქო წაბაძეს სომეს ასულებს,  
ცერებზე შეხტნენ მკლავ-ჩახლართულნი,  
იკისკასეს და შეფნი მასხურეს...

რა წარმტაცია! კიდითი კიდეს,  
ნაპირებს, ველებს ყიუინა ფარავს...  
მითხარ, დღეიდან რისთვის შიკვირდეს,  
მტკვარმა აქეთაც ისწრაფოს მარად?

რა წარმტაცია: ზეცა ბზინვარე,  
წყალი თუ ხალხთა გულების ფეთქვა,  
ორი სამშობლო, ორი მდინარე  
საასპარეზოდ წასული ერთად!

სხვა სილამაზე ქვეყნად არ თქმული;  
კიდევ სად ნახოს ჩემმა თვალებმა,  
როგორც სომხური, როგორც ქართული,  
როგორც თერთმეტი მზის ბრწყინვალება!

მითხარ; დღეიდან რად გამიკვირდეს,  
მტკვარმა თქვენსკენაც იჩქაროს მარად?...  
ტალღებო, შეხტით, კიდიდან კიდეს  
შეჰქივლეთ სომხის ასულთა გვარად!

### აბრეშუმის ქარხანაში

შემომხედე, სიხარული. ციცანი,  
ვაიღიმე, ცისარტყელა მეგონა.  
მზის სხივების თაიგული შეჰქონა,  
შენი გულის მოზიარე ვინც არის.  
გიმღერო, თუ თითისტარი გიგალობს...  
შარიშური თუ ნანინა ჩუმი.  
მზეც სარკმელში იმზირება შურით.  
აბრეშუმი, აბრეშუმი, შე ქალი..

\* \* \*

შემიყვარდა მე შრალი როგორლაც,  
აბრეშუმის სიყვარული მეც დამყვა.  
ყელსახვევი შომიქშოვე, გოგონავ, —  
ო, ცისფერი ყელსახვევი გეთაყვა!  
ოღონდ იყოს ვარსკვლავების არშია.  
მთვარის შუქიც დასახული ვერცხლად,  
რომ ოდესმე მოფარფატემ ქარშიაც  
გამახსენოს მე სომხეთის ზეცა.

### წამოსვლა

ამწვანებული ხსოვნა მიმყვება ამ მხარესი;  
ახალი მთვარეც მითვალთვალებს ციდან.  
მაგრამ ყველაზე უახლესი და უმწვანესი  
მე გულით მიმაქვს სიყვარულა წმინდა.

\*

\* \* \*

როგორ დავტკო ასეთი ღამე, — გაზაფხულის;  
ერთ ვარსკვლავს ბარემ გავიტაცებ მეცა...  
ოღონდ იტყვიან:

ამ კაცმა ერთხელ გვინახულ  
და მაშინაც კი გაგვიქურდა ზეცა.

## ა. გვარდის მუზეუმი



ხანჯლიანი გვარდიელები გულმოდგინედ ტვირთავდნენ ვაგონებს მოზიდეს აფარება იარალი, ტყვიამფრქვევლება, შაშხანები, ყუმბარებითა და ვაზნებით სავსე ყუთები, უნაგირები, საველე კარვები, ტელეფონები-ფეხებამდე შეიარაღებულები იყვნენ. თითქმის ყველას ეკიდა მაუზერი-შაშხანა, ხელყუმბარები და ეს იარალში ჩამჯდარი ხალხი გაფაციცებით ფუსტუსებდა, თითქო დიდი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

ხალხი ნელნელა შევროვდა ბაქანზე. ყველანი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს გვარდიელების ფუსტუსს. მარტის მზიანი დღე იყო. თბილოდა.

— სად მიღიან ნეტავი? — შეეკითხა ერთი ჭალარა, ხანში-შესული ჩოხოსანი ღიპიან მოიჯარადრეს.

— რა ვიცი. ვერაფერი გავიგვე.

— ალბათ საომრად მიღიან, თორემ ამდენი იარალი რად უნდათ?

— ბალშევიკებს ლიხი აულიათო.

— ჰოო, მერე ვითამ ესენი იმათ, წინააღმდეგ მიღიან?

— რა ვიცი, აგერ ვნახოთ. თუ აღმოსავლეთიდან მოუბეს ორთქლ-მავალი, მაშინ საომრად მიღიან, თუ დასავლეთიდან მოუბეს. მაშინ აშკარაა. მიიპარებიან.

მალე შტაბის წევრებიც მოვიდნენ. გატენძლი პორტფელები და თოფები სამგზავრო ვაგონში შეიტანეს და განკარგულება გასცეს მატარებლისთვის ორთქლმავალი მოებათ.

ხალხში უცბად გავრცელდა ხმა, რომ ისინი სცლიდნენ ქალაქს და მიიპარებოდნენ. მალე ორთქლმავალიც გამოიყვანეს და მატარებელს. დასავლეთიდან მოუბეს.

ყველანი საკლასო ვაგონთან შეჯგუფდნენ და ჩუმად უცქერდნენ მიმავლებს. ისინი კი ისევ ფუსტუსებდნენ, თავის ბარგს მოხდენილად აწყობდნენ და წამდაუწუმ განკარგულებას. იძლეოდნენ,

უეცრად ხალხიდან გამოვიდა ჭალარაშერთული ზეინკალი ანტონა  
და ფანჯარაში გადმოყუდებულ გვარდიის შტაბის უფროსს მიმართა.

— მიღიხართ, კაცო?

გვარდიის შტაბის უფროსმა ანტონას უგუნებოდ დასედა, შემდევ  
ხალხს შეავლო თვალი და უეცრად დაებადა აზრი სიტყვით მიემართა  
ხალხისთვის. ანტონას პასუხი არ გასცა და პირდაპირ მიმართა შეგრო-  
ვილ ხალხს:

— ბატონებო, ჩვენ დროებით ვტოვებთ ქალაქს. ამას მოითხოვს  
სტრატეგიული მოსაზრებები, მაგრამ ჩვენ მალე დავბრუნდებით. ჩვენ  
ხელთა გვაქვს დეპეშა, რომ ანტანტას გამოუგზავნია ჩვენთვის ჩეალუ-  
რი დახმარება. ბოლშევიზმის დღეები დათვლილია. საქართველო გადა-  
იქცევა მათვის ვერდენად. ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვე-  
თამდე...

— რას იბრძოლებთ? ჯერ ისინი არც გამოჩენილან და ახლავე მიი-  
პარებით... — წაილაპარაკა ხალხში ვიღაცამ.

შტაბის უფროსი უცბად მოიღუშა. სხვა დროს ასეთ სიტყვებს შეიძ-  
ლება ასე ადვილად არც კი შეარჩენდა იმის მთქმელს, მაგრამ ახლა  
იძულებული იყო სხვაგვარად დაეჭირა თავი.

— მოქალაქე, რომელმაც ჩეპლიკა ისროლა, არ არის მართალი, მან  
არ იცის სტრატეგია. ჩვენ სწორეთ სტრატეგიული მიზნით...

— სულ გარბიხართ, კაცო, და მაგ თუ სტრატეგიაა, არ ვიცი. — გა-  
იცინა მეორემ.

— მოქალაქენო, რეალური ძალა...

— იმ! კაი ერთი, შენ გენაცვალე.

ატყდა ერთი სიცილი. სიტყვა ჩაფლავდა. რამდენჯერაც არ სცადა  
გაგრძელება შტაბის უფროსმა, იმდენჯერვე ხელი. შეუშალეს რეპლიკე-  
ბით. ძალაც აღარ ყოფნიდა. ძალიან პათეთიური ტონით დაიწყო ლაპა-  
რაკი და წინასწარ უკვე წარმოდგენილი ჰქონდა დამსწრე ხალხის აც-  
რემლებული სახეები და მათი მუდარა — ჩარა, დაბრუნდითო. იმათ კი  
სიცილი დააყარეს; სიტყვა გაუქილიკავეს და პათეტიკა საღლაც გაუქრა.  
რამდენჯერმე მაინც სცადა სიტყვა განეგრძო.

— ამხ... ბატონებო... ჩვენ დაგიმტკიცებთ...

— დამტკიცებულია უკვე, დამტკიცებულია...

— მოიცათ, სუკველამ ვაჩუმდით! — ჩააჩუმა ახარხარებული ხალხი  
ანტონა ზეინკალშა. —

— აბა ჰე ანტონა...

— რა გინდა, ანტონ?

— მიღი, შე ძველო. მეიცათ, ხალხო, გევიგონოთ, რა უნდა ანტონს? სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე რა მინდა, იცი? — მიმართა ანტონამ შტაბის უფროსს. — თქვენ,  
ჩემთ ბიძია, ქე მიღიხართ. ბოლშევიკები როდის, შამოვლიან; არ ვიცით  
და ქალაქი უხელისუფლებოდ და უპატრონოდ ჩემბა. ერთი თოფიანი  
ყაჩალი რო შამოვარდეს, მთელ ქალაქს სულ ლეკურს გვაცეკვავებს:

ამიტომ, სანამ ბოლშევიკები მოვიდოდნენ, ქალაქს თავდაცვა ესაჭიროება და, თუ შეიძლება, ცოტაოდენი იარაღი დაგვიტოვეთ.

— მართალია, მართალი! — იგრიალა ხალხმა.

— რათ გინდათ ამდენი თოფები?..

— სულ ერთია მაინც არ ისვრით და!..

— ტყვილა თრევას რას გამორჩებით?

ხმაურმა და ყაყანმა იმატა. შტაბის უფროსი ვაგონში მიიმალა და, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარაში თავი გამოჰყო, ყველა ჩაჩუმდა პასუხის მოლოდინში.

— სერგია! — გასძახა შტაბის უფროსმა მატარებლის გასწვრივ და ვიღაცას თვალებით ქებნა დაუწყო, — სერგია!

— აქა ვარ! — გაისმა ხმა და ცოტა ხნის შემდეგ ფაფახიანი გვარდიელი შტაბის უფროსს წინ გამოეჭიმა. — რას გვიბრძანებთ?

— სერგია, გავარდი შტაბში ჩქარა. შტაბის ბეჭედი დამრჩენისა და მოიტანე, სანამ მატარებელი წავიდოდეს.

— ახლავე! — აუღო ხელი გეგმიდიელმა და შტაბისკენ ქუნძულით გაიქცა.

ხალხი ისევ ჩუმად იყო პასუხის მოლოდინში. შტაბის უფროსი კი უაზროდ იცემირებოდა სივრცეში, თოთქო მის წინ ცარიელი სივრცე ყოფილიყოს. ის აღარავის არ ხედავდა, მისი აზრი მხოლოდ ერთით იყო შეპყრობილი. რაც შეიძლება მალე გაცლოდა აქაურობას და დადევნებოდა გაქცეულებს. მხოლოდ ხანდახან გაიხედავდა ხოლმე შტაბისკენ, საიდანაც გაგზავნილ გვარდიელს უნდა მოეტანა დავიწყებული ბეჭედი.

ხალხში ისევ ატყდა ჩურჩული. ანტონამ აიმაღლა ხმა და ისევ მიმრთა შტაბის უფროსს.

— კაცო, ჩვენ პასუხის ღირსი არა ვართ?

— რა პასუხის? — უგუნებოდ დახხედა ანტონას შტაბის უფროსმა.

— რა პასუხის და იარაღის შესახებ რო გთხოვეთ. ასე, უპატრონოთ რომ ტოვებთ ქალაქს, ჩვენ ხალხი არა ვართ?

— შენ ის ჯობია, გამეგზავნე ერთი შტაბში, გამიგე სად და იკარგა. აქამდე ის ოჯახდასაქცევი. ბეჭდის ნახვას ამდენხანს უნდება? ეჭ, მოდის როგორც იქნა. რა ქენი, მოიტანე?

აქოშინებულმა გვარდიელმა. ფეხი ფეხს მიადგა, ხელი აუღო და მოახსენა:

— ვერ ვნახე, ბატონო შტაბის უფროსო.

— რა ვერ ნახე? — გაბრაზდა უფროსი. — გავარდი ახლავე, ჩემი შაგიდის შუა უჯრაშია. ჩქარა! ნიკოია, შენც წაყევი, ერთად მოძებნეთ. ჩქარა მობრუნდით, თორემ საღაცაა წავალთ.

გვარდიელები გაიქცნენ.

საღვურიდან მორიგემ გამოიხედა და შტაბის უფროსს შორიდან გამოსძახა.

— გავუშვა მატარებელი?

— არა, თუ კაცი ხარ, ცოტა მოიცადე, ბეჭედს მომიტანენ. დამრჩენია...

შტაბის უფროსი ვაგონში მიიმალა.

ანტონა მობრუნდა და გარსშემოხვეულ ხალხს გაკვირვებულად ჟერდა.

— რა ვქნათ, ხალხო?

— რა გითხოა, რაიო? — შეეკითხნენ მოშორებით მდგომები და წინ წამოიწიეს, რომ ანტონას პასუხი უკეთ გაეგონათ.

— რა ვიცი, არც კი მიპასუხა. ბეჭედს დაეძებს გამწარებული. რაღა ჯანდაბად უნდა, რომ არ ვიცი?

— მაინც რას ამბობს?

— არაფერს. პასუხი არც კი გამცა: წამოდით, კაცო, ერთად მივიღეთ. რას დაგილიათ ეს პირები? არ გამოგვადგება. ნიკიფორე, სევასტი, შენც, მოდით კაცო. მაგრან თავს შველიან და გარბიან და ჩვენ წითელი ჯარების მოსვლამდე რა ვქნათ? იმათ შეიძლება ერთი კვირა დააგვიანდეთ. ერთი თოვეიანი ყაჩალი... ხომ იცით...

— წამოდით, კაცო, წამოდით!..

ჯგუფად მიუახლოვდნენ ვაგონს და ანტონამ გასაღებით დააკაკუნა:

— მოიტანეთ ბეჭედი? — გადმოჰყო თავი შტაბის უფროსმა.

— ბეჭედი კი არა, ჩვენ აგერ იარაღის შესახებ მოვედით.

შტაბის უფროსი მოილუშა. ანტონას დაუფიქრებელი თვალებით გადახედა და შემდეგ სხვებს მიუბრუნდა:

— ჩვენ იარაღს ვერ დაგიტოვებთ, იმიტომ, რომ თქვენ მას ბოლშევიკები, გადასცემთ.

ანტონა გაბრაზდა.

— აბა. თქვენ მაინც დარჩით, სანამ ბოლშევიკები მოვიდოდნენ.

— არ შეგვიძლია, ჩვენ ცენტრიდან ბრძანება გვაქვს.

— მაშინ იარაღი დაგვიტოვეთ!

— შენ რა ბევრს ლაპარაკობ! — შეუტია შტაბის უფროსმა ანტონას. — ხომ არ გინდა, რომ... მოიწი აქეთ ერთი შემოგხედო. შენ ბოლშევიკების მოგზავნილი ხომ არა ხარ?, ან იქნება თითონ ხარ ბოლშევიკი?...

შტაბის უფროსს უკვე გაუელვა თავში, რომ ანტონა დაეტუსაღებია და ამითი სწრაფად მოესპონ თოვების დატოვების შესახებ ლაპარაკი. მერე გზაში რაეჭენა ნაგაზს ერთი თვალს უზამდა, ისიც წამოდგებოდა. ანტონას დაავლებდა კისერში ხელს და გაქანებული მატარებლიდან კისრით გადაუშვებდა ძირს. უკვე დააპირა განკარგულების გაცემა, მაგრამ ამ დროს გვარდიელებმა ბეჭედი მოაბრენინეს და გადასცეს თუ არა შტაბის უფროსს, იმ წამსვე ჩამოჰკრეს ზარიც და ორთქლმავაძმაც დასტვინა.

ანტონა სიბრაზისაგან ძლივს სუნთქვავდა. დანარჩენებიც მოლუშული იყვნენ. დაიძრა თუ არა მატარებელი, ანტონამ ვეღარ მოითმინა და შტაბის უფროსს მიაძახა:

— რათ გინდა მაგ ბეჭედი, გამავებიერ ერთი?..

მატარებელი ნელა უმატებდა სვლას.

— მაგრად მოკიდეთ ხელი თუ ღმერთი გწამს მაგ ბეჭედს, არ გაჭმვა ტელიდან, სხვაგან თუ არა, უკანალზე მაინც დაირტყი და ისე წადი.

ხალხი თავშეუკავებლად ახარხარდა. შტაბის უფროსმა ისევ გამოჰყო თავი ფანჯრიდან. ახარხარებულ ხალხისკენ მაიხედა, სიბრაზისაგან გაფითრებულმა ანტონას მუშტი მოულირა და გამოსძახა:

— დამაცა, დავბრუნდები უკან და მე შენ გიტირებ დედას.

— შენ რომ დაბრუნდები, ისე დაბრუნდა ბაბუა ჩემი პავლია. შეტი არ აგიდგა გვერდები. ბეჭედი, ბეჭედი მიირტყი მაგრად, არ დაგავიწყვდეს... თქვენი...

მატარებელი უკვე ჩასცდა ისრებს, ლიანდაგზე გაიკლაკნა და დასტოვა ქალაქი:

ხალხი კი ისევ განაგრძობდა ხარხარს ანტონას ხუმრობაზე.

# მარჯანი

ლურჯას დალუპვა მეხივით დაეცა იორდანეს ოჯახს. ჭირსა და ფა-  
თერაკს აღრევეც იყო შეჩვეული: ორი წლის წინათ უფროსი ვაჟი გამოს-  
ტაცა ულმობელმა ციებ-ცხელებამ, შარშან შემოდგომაზე ცოლის ნაძ-  
ზითვი ძროხა მგელმა შეუჭამა, მაგრამ იორდანე სასოწარკვეთამდე  
არ მისულა. უკანასკნელი იმედი ჯერ კიდევ სულდგმულობდა მის გულ-  
ში. ლურჯამ ეს იმედიც თან გაიყოლა.

დაითალხა ჭვარტლიანი ფაცხა. შერჩა სიღარიბე და გაავებული ცო-  
ებცხელება. თავბედს იწყევლის იორდანე. გაჩენის დღეს აუგით იხსენა-  
ებს. აფორიკქებული ხშირად გარბის ეზო-მიღამოდან. გავა რიონის პი-  
რად და მთელი დღე უგზო-უკვლოდ დაყიალებს. ხან რას გაიფიქრებს და  
ხან რას. საბოლოოდ ვერაფერი გადაუწყვეტია. ქალაქში გადაბარგებას  
ცოლი არ ანებებს. მთაში გახიზვნას და ახალი ოჯახის გამართვას ფუ-  
ლი უნდა...

— რა შავ ჭვად მინდოდა ცოლშვილი, რად? — ამოიგმინებს ზოგჯერ  
იორდანე და თვალებს ისე აცეცებს, თითქო ვინმეს დაეძებს ჯავრის ამ-  
საყრელადო.

მარინე ხმაგაკმედილი ზის ფაცხაში. ორი დღე რომ უხემსოდ დარჩენ-  
ერთ საყვედლურს არ ეტყვის ქმარს. თუ თავი დაიმარტოვა, ატირდება და  
ცხარე ცრემლით ამოირექს დასეტყვილ გულს. თუ იჯრა გააკეთა, გასა-  
ნახავსაც არ იმეტებს თავისითვის. ულუფას განგებ მოინარჩუნებს და ცო-  
ტა ხანს შემდეგ გივის სთავაზობს ან იორდანეს ეტყვის: ბუჯერში ცოტა-  
ნარჩენებია და დეიხემსეო.

იორდანე ხედავს ცოლის საქციელს და გული უკვდება. ხანდახან სირ-  
ცხვილით ყურის ბიბილო უწითლდება, გადის ეზოში და მთელი დღე  
ოჯახს არ ეკარება.

— თავი როგორ მოვიკლა ცოლშვილის პატრონმა... — ბუტბუტებს  
თავისითვის:

მოახლოვდა. ზამთარი. მთები ჩამოთოვა. აცივდა სოფლადაც. იორდა-  
ნეს შეშა არა აქვს მომარაგებული. ეზო-მიღამოზე ფიჩიც გამოილია-  
მარინემ ახლა ამოიდგა ენა: შეშა მაინც მოიხაზირეო.

\* ) ეპიზოდი რომანიდან „ოქროს ვერძი“.

იორდანებ ნაჯახი აიღო და ჭალადიდის ტყეს მიაშურა. მუშაობას მოწყურებული ისე გატაცებით დაეტაკა ალვებივით აშოლტილ თხემლებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ორი საუენი შეშა დააყენა.

მუშაობამ ოჯახური ჭირვარაში გადაავიწყა. შეშა სანაოზე გამოზიდა. საყადლებს, რომ შეხედა, შინ წასალებად დაენანდ. მუშტარს დაუწყო ჟებნა. საშინაო შეშას ხვალაც მოვჭრიო, ფიქრობდა წახალისებული იორდანე.

მუშტარი გერ იშოვნა. სალვამიჩაოელები ნაყიდ შეშას არ ხმარობდა ნენ. შორი სოფლიდან მოსულებმა ჩალის ფასად მოინდომეს სიმწრით ნაოფლარი. მიხა ლვამიჩავამ ურჩია; ბარემ ერთი კარჭაპა იყიდე, დააწყე შეშა და ფოთში ჩაიტანეო. ქალაქში მუშტარიც გეყოლება და ფას-საც კარგს მოგცემენო.

იორდანეს ჭკუაში დაუჯდა მიხას რჩევა-დარიგება. სალვამიჩაოში მე-ნავე ხურო ეგულებოდა. მივიდა, თავი შეაცოდა და ნისიად გამოართვა კარჭაპა. ამინდმაც ხელი შეუწყო და საშობაოდ პირველი დატვირთული კარჭაპა შეაცურა ფოთის ნავთსაღგურში.

ფოთში მუდმივი მუშტარიც ჩქარა გაძინა იორდანებ. მეშეშეობამ ჩალვადრობა გადაავიწყა და ახალი იმედით აუკსო გული. საწყალი კა-ცისთვის „იმედიც ხომ კარგი საქონელია“.

შეეჩია იორდანე ტყეში მუშაობას. მეშეშობას მიანდო ოჯახის ბედ-ილბალი. დღე დღეს სცვლის, წელიწადი წელიწადს, მაგრამ იორდანეს ოჯახში ყველაფერი უცვლელი რჩება. ვერც ოდა-სახლი გამოიწყო, ვერც კვიცი იყიდა და ვერც ციებცხელება განდევნა, ფაცხიდან. მარინეს თავპირი ისევ კეჟერა მხლის. ფოთლით აქვს შეხვეული. გივი ავლრალი დაფამფალებს.

იორდანე გულს არ იტეხს: „წელს თუ არა, გაისად მაინც მელირსება რამეო“. მარინესაც აიმედებს: „ცოტა დამაცადე, შეშის მაზანდა აიწევს და ერთბაშად გამოვგრები სილარიბიდანაო“.

ამ იმედით მიაცილებს იორდანე ყოველ გასულ წელიწადს (ო, რა უცნაურად გვანან ეს წლები ერთმანეთს), ახალს-ალტაცებით ეგებება. მა-მაპაპურ ჩევეულებას არ ლალატობს და საკალანდო გალოცვისათვის ერთი თვით ადრე იმარაგებს ყველაფერს. აავსებს გობს ლორის თავით, ხილით. წლის მოსავლიდან არაფერს არ იშურებს გობის მოსართავად... გაილოცავს წმინდა ბასილის მობრძანებას. დამბაჩასაც გაისვრის მტრების გულის მოსაკლავად, დაჯდება და კრიმანჭულით გააშიარულებს წლითი-წლამდე მგლოვიარე ფაცხას, თვითონაც ილხენს და ოჯახსაც ამხიარულებს დასაბედებლად. მაგრამ თვე თვეს სცვლის, ზამთარს გაზაფხული... იორდანეს ფაცხაში ყველაფერი უცვლელი რჩება. საკალანდო მზადება და ახალ წელს დაბედებული მხიარულება განუმეორებელ ბეჭნიერებად რჩება მთელი წლის განმავლობაში.

— . —

ხელმწიფე რომ ჩამოაგდეს, მაშინ კი გადაჭრით სთქვა იორდანებმ: რა-  
კი დღემდე მოვიტანე სული, აწი ალარაფერი მიჭირსო.

ადგა და მიტინგებზე სიარულს მოუხშირა. მარსელიოზა თავიდან ბო-  
ლომდე ზეპირად ისწავლა და რადგან ხმაც ხელს უწყობდა, მოძლერალ-  
თა ჯგუფს შეუერთდა. აგერ წითელი ლენტები მიიკერეს მკლავებზე.  
ლენტებს წარწერა ამშვენებს: „თავისუფლება“.

იორდანე სხვებს არ ჩამორჩა: კოოპერატიულ დუქანში ხუთშაური-  
ანი „თავისუფლება“ იყიდა და თვითონაც მიიკერა მკლავზე.

მარინეს ეუცხოვა წითელი ლენტი. ვერაფერი მოისაზრა. აქამდე შავ-  
ლენტშემოკერებული ბევრი უნახავს. თვითონ იორდანეს ეკერა შავი არ-  
შია უფროსი ვაჟის სიკვდილის შემდეგ... ამ წითელ ნაჭერს ვერაფერი გა-  
უგო. შეკითხვა შერცხვა, მაგრამ გულმა აღარ მოუთმინა და მორიდე-  
ბით ჩამოუგდო სიტყვა იორდანეს:

— ბეჩა, რაია მაგი ჭინჭი, ასე სასოებით რომ მიგიკერებია მკლავზე?  
იორდანემ თავი მოიწონა.

— რაია და თავისუფლება... ხელმწიფე რომ ჩამოაგდეს, შენ კიდევ  
ვერ შეიტყვე?

მარინემ ხელი შეავლო წითელ ლენტს.

— სად დაარიგეს?

იორდანეს ფერი ეცვალა მოულოდნელი შეკითხვისაგან. ის ახლა ჩა-  
უფიქრდა იმ აბავს, რომ „თავისუფლებაში“ ფული ჰქონდა გადახდილი.

— დაარიგეს კი არა... ვიყიდე, — დარცხვენით წაილულლულა იორ-  
დანემ, თითქო დანაშაულ რამეზე წაასწრესო.

— კაი შვილია ნაყიდი „თავისუფლება“. წითელი ჭინჭი თუ მიიკერე  
მკლავზე, აგიშენდება ოჯახი...

იორდანემ ხმა გაკინდა. გული მასაც შეუქწნდა. მართლა, რის მაქ-  
ნისია ამ ნაჭრებით ვაჭრობა და „ფულის მახის“ გამოგონებაო, მაგრამ  
მიტინგზე. სიარული მაინც არ დასთმო.

არც სალვამიჩაოში აკლდება კრებებსა და მიტინგებს: თუ ფოთში ჩა-  
ვიდა, შინ ისე არ დაბრუნდება, ორ-სამ აღგილას რომ არ მოუსმინოს  
ენაწყლიან ორატორებს.

რას არ პირდებიან ხალხს ეს ორატორები. რანაირ ედემს არ უხატა-  
ვენ მომავალ ცხოვრებისათვის.

იორდანე თავბრულახვეული ბრუნდება შინ. ცის მანანასავით მოე-  
ლის თავკაცების შეპირებულს. მოელის სახნავ-სათეს მიწას, სამოსახლოს,  
მდიდრისა და ღარიბის გათანასწორებას. მემამულების კანონსამართლის  
შეცვლას.

მოელის, მაგრამ ცხოვრებას რომ აკვირდება, გაოცებული რჩება. არც  
არაფერი იცვლება და არც არავინ ფიქრობს რაიმე ცვლილების მოხდენას.

სახელწოდება კი შეუცვალეს დაწესებულებებსა და თანამდებობის  
პირებს, სამამასახლისოების ნაცვლად სოფლის ერობა დააწესეს. მამა-  
სახლისების მაგიერ ერობის თავმჯდომარეები დასვეს. მაგრამ საკვირველი

ის არის, რომ სალგამიჩაოში მამასახლისად სერაფიონ ჩოჩია იყო ბარე ათ წელიწადს, ერობის თავმჯდომარედაც ის წამოაკუპებეს.

— ეს სადაური კანონ-სამართალია!? — უსაყვედურებდა იორდანე. — თუ მთავრობა გადააგდეს და ახალს ირჩევენ, ამ მექრთამე ჩოჩიას რაღას ნიშნავდენ ერობის თავმჯდომარედ? პირველად ყური გამოგვიჭედეს მიტინგებზე, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთო, აგაყვავებთ, აგაშენებთო... ბარე ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ და სადაა ის მიწები, სამოსახლოები, უფასო საძოვრები და ათასი სხვა შეპირება? თვალთმაქცობდნენ?

იორდანემ წყრომით მიაფურთხა ახალ მთავრობასაც. შემოიხსნა მკლავზე მიკერტული „თავისუფლება“ და ისევ ჭალადიდის ტყეს დაუბრუნდა.

სჭრის იორდანე შეშას. რიონის პირად ასაყადლებს. ჩაზამთრებაზე ფოთში ეზიდება. თუ შეშა კარგ ფასში გაყიდა, სამიკიტნოში შეძვრება სადმე, პილპილიან ხარჩოს მოითხოვს და ერთ ბოთლ იზაბელასაც დააყოლებს, ზოგჯერ ორსაც.

ფულის კურსი დღითი-დღე ეცემა. იორდანე სამიკიტნოში გებულობს კურსის ცვალებადობას. ერთხელ ერთი კარჭაპა შეშის ფასი აღარ გყო სალილის ნახარჯის გასასწორებლად. კინალამ შეიშალა იორდანე. გეგეჭკორის ასიანები ხელში ეჭირა და შეთივით ბორგავდა: ამის მომჭრელს ხელები უნდა მოსჭრას კაცმა... ფულია თუ ნიორის ნაქურჩალიო.

სტაცეს ხელი და მთავრობის შეურაცყოფისათვის თრი თვის ციხე მიუსაჯეს.

გაუტყდა გული იორდანეს. ამდენ თვალთმაქცობასა და მატყუარობას თავბოლო ველარ გაართვა. ურწმუნობა და უნდობლობა გაუჯდა ძვალსა და რბილში. არც ვინმეს ნათქვამი სჯერა, არც დაწერილს ენდობა. გაზრდებს ხშირად კითხულობს, მაგრამ თავშესაქცევად. „სამგლოვიარო განცხადებების გარდა, აქ ყველაფერი ტყუილია, ხალხის დასაბრმავებლად გამოვონილიო“, — ამბობს იორდანე თავისიანებში.

ჩქარა ტყეს ბაჟი დაადეს. მაშინ სულ მთლად გაგიჟდა ურწმუნო იორდანე. „გაკეთებას გვპირდებოდენ და დახე სახელმწიფო ტყეშიც ბაჟები შემოიღესო“.

ტყეში მუშაობაზე ხელი მაინც ვერ აიღო. დაჰკარგა ყველაფრის. იმედი, შესძულდა მატყუარა და მცდარი ქვეყანა... გულჩათხრობილ ცხოვრებას მისცა თავი.

—  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასაც გულგრილად შეხვდა. იორდანე. უფასო რკინიგზა და უფასო საღილები ჯერ მოეწონა, მაგრამ სასაღილოში სამი საათის ლოდინის შემდეგ თევზის „სუპი“ რომ მოუტანეს, ჩააქნია ხელი და დუდლუნით გამოვარდა გარეთ: „უფასო კუბოც შეარცხვინოს ღმერთმათ“.

როცა კრებებზე მიიწვიეს, უარი განაცხადა: დრო არ მაქვს, ფოთში ვაპირებო.

იორდანე არ სტყუოდა.

ის ახლაც ხშირი სტუმარი იყო ფოთისა. შეშა ჩაჰებდა. მიკიტნებთან ასაღებდა. აქითობისას სიმინდის ფქვილს და ლობიოს წამოიმდგარებდა. სხვა ურთიერთობა მას აღარა ჰქონდა ქალაქთან, არც ხალხთან. კარჩაკეტილ ცხოვრებას მისცა თავი. ათი წელი ისე გავიდა, ლირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა მის ცხოვრებაში.

მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცხადებასაც უნდობლად შეხვდა იორდანე. იმიტომ გაექცა არტელში ჩაწერას. დღიურ ლუკმაზე ცხოვრება არჩია, „ცოლშვილს ტილოს მაინც დავაფარებ შუბლზეო“, — იმართლებდა თავს იორდანე.

ავადმყოფობა მართლაც მუდმივი სტუმარი იყო იორდანეს ფაცხაში ერთად-ერთი ჯანმრთელი იორდანე იყო მთელს ოჯახში. ფიქრობდა, შვილები წამომეზრდებიანო. უფროსი რვა წლის მოუკვდა, მომდევნო გივი თხუთმეტი წლის დაჭლექდა და დაიღუპა. ქალვაჟი დარჩა, მაგრამ ხსინიც სანთელივით ფერმკრთალნი დაფამფალებდნენ.

წლები გადის. იორდანეს ოჯახში ლოგინი არ აბერტყილა. ქინაქინის ფასს ვეღარ აუდის ხელმოკლე კაცი.

— ბარემ ერთად გაწყდით, თქვე ცოდვის შვილებო! — ამოიგმინებს ზოგჯერ. და ძეველ შანებში ტილოს ნაჭერს ეძებს ციებმოუხდელ ბავშვებისათვის შუბლზე დასაფარებლად.

დღესაც ამ სიტყვებით გამოიხურა ფაცხის კარი და სიცხიანი ცოლო და ბავშვები ლვთისანაბარა მიატოვა.

შუადლემდე თავაუღებლივ იქნევდა ნაჯახს. ალვებივით აშოლტილ თხემლებს შეუბრალებლად მუსრავდა. ქვენამ რომ გადაიქროლა, რს იყო ერთი წყება ძირმოკოდილი ხეები მიაკალათა და უსაზღვრო კმაყოფილებით ახედა ცას.

თხუთმეტი წელიწადია ქალადიდის ტყეში მუშაობს იორდანე და ასე არასოდეს არ უგრძენია მოწმენდილი ცის ეშხი და მშვენიერება.

— დევიხემსებ! — ხმამალლა სთქვა იორდანემ და ჭანჭრობზე გამოვიდა, საგზლის ჩანთა ჩამოილო და მარილწასმული კვერი ოთხად გატეხა.

მაღიანად ილუკმებოდა იორდანე ბარაქიანი მუშაობის შემდეგ.

დანაყრებული იორდანე ციბრუტივით ატრიალებდა პირმოლებილ ნაჯახს. ამინდი ხელს უწყობდა. მოკრიალებული ცისა და მზის შეხედვა ლონეს მატებდა. მერცხლების ულურტულიც ესმოდა იორდანეს და მარტოობას ავიწყებდა. თავაუღებლივ იქნევდა ნაჯახს. ნაფოტები ბზრიალით იფანტებოდა წასაქცევი ხის გარშემო.

უკანასკნელად ფულუროიანი თხემლა წააქცია იორდანემ. ფულუროდან ციყვი გამოხტა. თავგზაბნეულმა წრე შემოხაზა, წაქცეულ ხეს გადაურბინა და ცაში ატყორცნილ თხემლას მოევლო კენწეროზე.

იორდანემ შურის თვალი გააყოლა ფეხმარდსა და წელმოქნილ ციყვამუქარის ნიშნად თავი გააქნია და თოფი. ინატრა.

სამშვიდობოს გასული ციყვი მაიმუნივით ხტოდა ტოტიდან ტოტზე.

შაგრამ თხემლა განმარტოვებით იდგა და ხიდან ხეზე გადასცლას ველარ ახერხებდა.

იორდანემ ადგილი გადაინაცვლა და ჯინაზე იმ თხემლას მიადგა წა-საქცევად, რომლის კენჭეროზე ციყვი დათარეშობდა.

კარგა რომ შეანაფოტა, ლაპარაკი შემოესმა. მონადირის სიფრთხი-ლით გაიხედა გვერდზე. ამდენი ხანია აქ მუშაობს და ტყეში შემოსული არავინ უნახავს. მხარი ხომ არავის ეცვალაო, — გაიფიქრა და შუბლი მოიჩრდილა. ქალაქურად ჩაცმული ხალხი დაინახა. გაოცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააცილა. ნაჯახი ხელიდან გააგდო და უცხო ხალხს მია-ჩერდა.

პაჭუ ხორავა იცნო იორდანემ. გაუკვირდა: რაიალმასკომის თავმჯდო-მარე ამ ჭაობში რამ შემოიყვანაო. ხორავას უცნაურად ჩაცმული ახმა-ხი კაცი ედგა გვერდით და ჭაობის სილრმეში ამობურცულ ბეჭობზე მი-უთითებდა. ხორავა დურბინდს იშველებდა მითითებული ადგილის და-შათვალიერებლად.

იორდანე უცხო ხალხს მიუახლოვდა. რეზინის სანადირო ჩექმები უცვა ყველას. მუხლებამდე დასველებულნი იყვნენ. ზოგიერთს ჭინჭიბური ტალახი შეხმობოდა მუხლის თავებზე.

— ეტყობა, უსაქმიდ არ არიან მოსული, — გაიფიქრა იორდანემ და უცხო ხალხს ათიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

ახალგაზრდა ჭაბუკი გამოეყო უცხო ხალხს, თხემლას თარჯი შემოკ-რა და ახმახ კაცს ჰერთხა: მეორე თარჯი რომელ ხეს შემოვკრაო.

იორდანემ იცნო ჭაბუკი. მიუახლოვდა და სხვებთან ერთად იმასაც თავი დაუკრა.

არკადიმ თავის დაქნევით უპასუხა. შეათვალიერა უცნობი გლეხი და თავისიანებს გადახედა, თუ ვინმე იცნობსო.

ყველანი უცნობი თვალით უცქეროდნენ იორდანეს. სამუშაოს მიტო-ვება და გამოგებება ყველამ გლეხის ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით ახსნა. მისალმებაც — სოფლელი კაცის თავაზიანობად.

უკანასკნელი თარჯი ჭაობიდან ათი ნაბიჯის მოშორებით შემოჰკრეს და შეჩერდნენ. იორდანემ ნაცნობ ჭაბუკს წამოუარა, გაუცინა რა მოკრ-ძალებით ჰერთხა, თუ მიცანიო.

ჭაბუკი დაიბნა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა მუხლებამდე ჩაცვარუ-ლი შეშის მჭრელი, მაგრამ გუმანი ვერ მიიტანა და მხრები აიჩეჩა უარის ნიშნად.

— სოფლის სკოლაში რომ ზურგით გატარებდი, დაგავიწყდა?  
არკადი უცბად გამოერკვა. თვალები ზედიზედ დააფახურა.  
— ა-ა, მია იორდანე! გიცანი... როგორ არა! — მიაშურა და ხელი გაუწოდა.

იორდანემ ხელი ჩამოართვა და მახლობელივით მოიკითხა. ლიმილით შესცექეროდა დავაუკაცებულ არკადის, მხრებზე ხელს უთათუნებდა. არკადიც არ ჩამორჩა გულგახსნილობაში. მარინე მოიკითხა, ბავშვე-შიც. თავისი ბავშვობაც მოიგონა, იორდანე რომ ზურგით ატარებდა.

•დღეს ინჟინერი ვარ, „კოლხიდმშენში“ ვმუშაობო, — გააცნო იორდანეს თავისი თანამდებობა.

— ამ ჭაობში რაღას აკეთებთ? — სხვათა შორის ჰყითხა იორდანეს, თითქო არც ეინტერესებაო.

— რიონი უნდა გადმოვაგდოთ... არხის გეგმას ვაღვენთ:

— რიონი — ჭაობში? — შეჩქიფდა ერთბაშად იორდანე და ცხვირის წვერი უმოწყალოდ მოიუღვლიმა. არკადის მოლიმარ სახეს ყინულივით ცივი და გაქვავებული თვალებით შეხედა.

— ჭაობი უნდა ამოვაშოთ, ძია იორდანე! — დაუდასტურა არკადი და თავისიანებს გახედა, შორს ხომ არ წასულანო.

პაჭუ ხორავა და ახმახი კაცი იორდანეს საყადლებს უკლიდნენ გარშემო.

ორჯერ რომ შემოუარეს, ახმახმა უკან მიიხედა და არკადის დაუძახა:

— ეხლავე მერაბ მერაბიჩ, — არ დააყოვნა არკადიმ და იორდანეს ხელი გაუწოდა გამოსათხოვებლად.

იორდანე გაშტერებული იღგა. არკადის გაწვდილი ხელი ვერც კი შენიშნა ფიქრებში გადაკარგულმა. ამ მდგომარეობაში, ალბათ დიდხანს დარჩებოდა რომ მერაბ მერაბიჩის ხელმეორე დაძახილს არ გამოეფხიზლებინა. არკადიმ საყადლებისკენ მიიხედა. მერაბ მერაბიჩმა ხელით ანიშნა იორდანეზე, თან წამოიყვანეო.

ამან კიდევ უფრო გააოცა იორდანე, თვალები მოისრისა და არკადის გაჰყვა კვალდაკვალ. იორდანე წინასწარ გრძნობდა, რისთვისაც ეძახდა უცხო კაცი.

— შენაკადი არხი აი აქ შეუერთდება მთავარ მაგისტრალს, — მოესმა იორდანეს მიახლოვებისას. ამან კიდევ უფრო დაადასტურა იორდანე წინაგრძნობა. მოშორებით დაღგა და, თითქო განაჩენის მოსმენას ელოდებაო, თავი ჩაჰვინდრა.

— შეშა შენია; ძმობილო? — ჰყითხა იორდანეს პაჭუ ხორავამ.

— ჩემი გახლავთ, — დამნაშავის ხმით უბასუხა იორდანემ.

ხორავამ გულმოღინედ ჩათვალიერა შეშის მჭრელი. მისი ხმა ეცნაურა. ახლა იმას იგონებდა, სად მინახავსო. გუმანი ჩქარა მიაგნო და ბერულავას წინააღმდეგ მოლაპარაკე იორდანე აღუდგა მეხსიერებაში: ვინაობა აღარ გამოჰყითხა, საყადლებს გაღაპებდა და იორდანეს გამოუცხადა: ერთი კვირის ვადაში ეს შეშა აქედან უნდა გაიტანოო.

მეხი დაეცა იორდანეს. ენა გაუქვავდა. ყველაფერს იტიქრებდა, მაგრამ აგვისტოში ჭაობიდან შეშის გაზიდვა აზრადაც არ მოუვიდოდა. რით უნდა გაზიდოს ლეუერი შეშა, როცა სოფელში ერთი ქეციანი მოზვერიც არ ეგულვება, ყველას მთაში ჰყავს გარეკილი. ზურგით რამდენი უნდა გაიტანოს? ახლო გადანაცვლება რომ ხერხდებოდეს, კიდევ ჰო... რაღაცას მოახერხებს, მაგრამ სანაოზე გატანას როგორ შესძლებს? ეს ჭანჭრიბი, საღაც ამჟამად მუშაობს იორდანე, ძროხის ენასავით არის გაგრძელებული ორ ჭაობს შორის. გასავალი რიონის მხარეს აქვს... რიონის პი-

რამდე ორი კილომეტრი იქნება. ეს ულონებს გულს თორდანეს. ამიტომ დგას ასე შეწუხებული და ენაჩარლნილი.

იორდანებმ ამოიხრა. საყადლებს ისე შეხედა, როგორც მახლობლის კუბოს დახედავს ჭირისუფალი სამუდამო გამოთხოვებისას.

— რას იზამ, ძმობილო? — ჰკითხა ხორავამ, როცა იორდანებმ პასუნ ხი შეაყოვნა.

— ვფიქრობ და ვერაფერი. მოვიაზრე, ბატონი! რით გავიტანო...

— მოახერხე რამე... არხის ფართობში რომ არ იყოს, არ აგაჩარება ღით, მაგრამ ამ თვის ბოლოს მუშაობა უნდა დავიწყოთ, — წამოეშველა ხორავას მერაბ მერაბიჩი.

არკადიმ თანაგრძნობით შეხედა შეწუხებულ იორდანეს, მაგრამ საჯუგეშო ვერაფერი ვერ უთხრა, ოჯახში ურემი ეგულვებოდა, მაგრამ ხარები?

სწორედ ხარები აღონებდა იორდანესაც.

— რადგან ასე შეწუხდი... ათი დღის ვადას მოგცემთ... ეცადე როგორმე... — თანაგრძნობის კილოთი უთხრა ხორავამ და მერაბ მერაბიჩს შეეკითხა, თქვენ რას იტყვითო.

— კაოგი... ათი იყოს... მეტი ალარ შეგვიძლია, — დათანხმდა ისიც.

იორდანეს ეუცხოვა ხორავას გულკეთილობა... სალვამიჩაოში სულ სხვა შთაბეჭდილება დასტოვა მან იორდანეზე. მაგრამ არც ეს აძლევდა რაიმე ნუგეშს მოულოდნელ განსაცდელში ჩავარდნილ იორდანეს.

— ვეცდები... თუ არა და... ნება თქვენია, — ამოღერდა როგორც იქნა იორდანემ.

— თუ მოვახერხე, მუშებსაც მოგახმარ... გულს ნუ გაიტეხ! — უკანასკნელ ნუგეშად დაუტოვა ხორავამ იორდანეს და ჭაობისაკენ გაემართა მას სხვებიც მიჰყვენ.

გვიან დაბრუნდა შინ იორდანე. ფაცხის კარი დახურული დაუხვდა. მარინეს ციება მოეხადა და ბოსტანში ჩასულიყო. ნაადრევ კომბოსტოს კვრლში ბალახ-ბულახს სწმენდდა. ჩაყვითლებულ ფოთლებს აცლიდა ისე გართულიყო მუშაობაში, რომ იორდანეს შინ დაბრუნება არ გაუგია ფაცხის კარის ჭრიალი რომ შემოესმა, ძალლი. თუ არისო, იფიქრა და თავაუღებლივ შესძახა: საჯ მიხვალ, შე წუწუოო.

მოგვიანებით გადმოვიდა მარინე ბოსტანიდან. ბჟოლის კანით შეკრული ჩაჩიების ჩელტი ალაგეს მოახურა და თხა დააპურა. ბატის ბჟიტებსაც დაუჭრა კომბოსტოს ფოთოლი, კალთა გაიბერტყა და ფაცხისკენ გაბრუნდა.

მუხის ძირში იორდანე დაინახა. გაქვავებული იჯდა. მარინე შეკრთა. კარგა ხანია ასე მოღუშული არ უნახავს ქმარი. ჩვენს თავს რაღაც უბედურებაო, გაიფიქრა და შეიიღების სიავით გულდათუთქულმა დედამ ესლა მოასწრო: „ბალნების რა იციო“.

მარინე გაცეცებული იდგა. ზელები აფრენილი ჭრის ფრთებივით ჭჭონდა გაშლილი, გეგონებოდა: იორდანეს პასუხს ელის, რომ შეჰკივალოს და თმები დაიგლიჯოსო.

— სად გაუშვი ბალნები? — ღამშვიდებით იკითხა იორდანემ. მარინესთვის არ შეუხედია, არც თავი აუწევია.

— ნავთიზა გავგზავნე სალვამიჩაოში. ხომ არაფერი შეგიტყვია?

— რა უნდა შემეტყო, დედაკაცო! დათვი შეჭამდა თუ მგელი ამ შუადლისას.

მარინემ სული მოიბრუნა.

„ჯანდაბას ყველაფერი, ბავშვებს ნურაფერი გაუჭირდებათო“, — ამო-იკითხებოდა მარინეს უფერულ პირისახეზე.

იორდანემ დაამთქნარა.

— შენ რალა მოგაჩქარებდა? ცას მტვერი მოცივა... — უსაყვედურა მარინემ.

იორდანე მუხის ტანს მისჩერებოდა. მიწიდან ერთი ალაბის სიმაღლეზე გარკვევით მოსჩანდა მსხვილი ასოებით ამოჭრილი: „გივი“. ჭრილობა უკვე შეხორცებოდა მუხას. ასოების კიდური ნატიფი კანი ნაზად გამოიყურებოდა სქელსა და დამსქდარ ქერქს ქვეშ. იორდანე თვალს არ აშორებდა. წარწერას.

„მოსწრებული დამეღუპა... ვაი ჩემს გაჩენას!“ — გაივლო გულში და მიწას ჩახედა დასაკლავ პირუტყვივით.

— ალარ იტყვი, ადამიანო? — გაუმეორა მარინემ.

— რას ჩამაცივდი, დედაკაცო! მომინდა და დავბრუნდი.

— სადილს რალად მიათრევდი, თუ შუადლეზე აპირებდი გამოქცევას?

— ამომართმევს ახლა კისრის ძარღვებს! მომშორდი, დედაკაცო, აქედან! — დაიღრიალა იორდანემ და ცოფიანი თვალებით შეხედა უყბედებულ მარინეს.

მარინე ბუზლუნით შეტრიალდა... გზადაგზა ფიჩხი აკრიფა და ფაცხაში შევიდა.

— იზარმაცე, იზარმაცე მამიშენის ცხონებამ... ავდარში არ გეყოფა დასვენება! — მოესმა იორდანეს გაანჩხლებული ცოლის საყვედური.

— სულელი დედაკაცი! — ჩაიქნია ხელი იორდანემ და ყალიონი გააჩაღა.

ფაცხაში ჯამ-ჭურჭელი ახმაურდა,

იორდანემ წაუყურადა.

მარინემ საფქვილე კოთხოს ხუფი მოხადა. ორ-სამ ადგილას დაკერებული საცერი ფქვილით გაავსო და გაბზარული გობის ერთ კუთხეში ხელები აათამაშა. გარეთ გარკვევით ისმოდა საცერის კარბისა და მარინეს ხელის გულის ტყაპა-ტყუპი. გობზე გაცრილი ფქვილის გორაკი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. ხანდახან მარინე გობის კიდეს მარცხენა ხელს დაპკრავდა და ფქვილის გორაკი ინგრეოდნ, როგორც კინში ინგრევა მთაგრეხილები მიწისძვრის დროს.

მარინემ მჭადი დააკრა. ფაცხაში დახრუკული ფქვილის სუნი დადგა.

იორდანემ სუნით იყნოსა, რომ მარინე ვახშმის სამზადისში იყო გართული. აქამდე სულ იმას ფიქრობდა: ხომ არ გაბრაზდა, ხომ არაფერს ამტვრევსო. ეს ერთიხანია ხელმარცხიანობა დასჩემდა მარინეს. უსიხა-

რულო ცხოვრებამ, სიკვდილმა და გაჭირვებამ ძარღვები მოუშალა. გულის მოსვლას ვეღარ იტანდა. უეცარი სიხარულიც ცუდად მოქმედობდა, ეს იცოდა იორდანემ და მიტომ წაუყრუა წელან, მარინე ჯამჭურჭელს ხომ არ ამტვრევსო.

მარინე კი იორდანეზე ფიქრობდა: ნეტა რა მოუვიდა ამ ყაზახსს, რატომაა ასე გაცოფებულიო? „ლურჯა რომ დაგვეღუპა, იმ დღეს მოვიდა ასე საცნაურდაკარგული. ხემსი არ აუღია. ერთი კვირის განმავლობაში ხმა არ გაუცია. მაშინაც ასე იყო. ალბათ, ბაჟი შეაწერეს და მიტომ დაბრუნდა ასე ადრე. სულ იმას ჩახდა, თუ დამბეგრეს, მეშეშეობაზე ხელს ავიღებო, ქალაქში გადევიყარგებიო. ნეტა აქედან წამათრევდეს და... თუნდაც ჯოჯოხეთში წამიყვანოს. ამის უარესი რალა იქნება! გამოვყრუვდი მარტო ყოფნით. ლაპარაკი გადამავიწყდა, ხანდახან განკებ შევუძახებ ძალლს ან თხას გამოველაპარაკები, ხომ არ დავმუნჯებულვარ მეთქი!

ფეხის ხმამ გამოაფხიზლა:

იორდანე შემოფრატუნდა ფაცხაში. ამოიოხრა და ლოგინზე მიწვა. თვალწინ მუხაზე ამოჭრილი მსხვილი ასოები ედგა და მოსვენებას არ აძლევდა მწარე მოგონებები. თანაც შეშის დარდი აწუხებდა. „მოსწრებული დამეღუპა... ძმასავით ამომიღებოდა გვერდით“.. უფროსების მოგონებაზე გოჩა და ნუნუც გაახსენდა. იორდანე სულ იმას საყვედურობდა სუსტები არიანო. მართლაც, ნუნუ უკვე ცამეტი წლის ქალია, მაგრამ ჩხირივით ფეხებზე დგას. გოჩაც კაფანდარა ბავშვია. ციებამ საშველი არ მისცა. არ იქნა, ფერხორცი ვერ შეიძინეს სისხლნაკლულმა ბავშვებმა.

იორდანემ თავი აიღო და მარინეს შეხედა.

მარინე ბუჯერში ჭურჭელს ასუფთავებდა.

— ვახშმად რა გაქვს, დედაკაცო? — განგებ კუშტად ჰეკითხა ცოლს. გულში ასე გაიფიქრა: თუ შემომხედა, თანდათან მოვლები და შევურიგდებიო.

ახლა მარინემ აღარ გასცა ხმა.

— გამებუტე? — ჩაიცინა იორდანემ. — თვითონ შემირჩები.

— არ აგიღგეს გვერდები! თუ წელან ვერ იღებდი ხმას, ახლა რამ აგაჭიკვიკა?

— კაი თუ ლმერთი გწამს, მარინე! ჩემი დარდი მეყოფა... შევრიგდეთ, შე ქალო... სამაგიეროთ ხვალ შეშის საზიდავში წაგიყვან...

— მამა გიცხონდება... დგების ქალი შენ შეშის საზიდავში გამოვყვეს!

— თიატრში გამომყვები?

— შენს მეტს რათ უნდა თიატრი! — ამოიღვა ენა მარინემ. — წეეთ-ჩევა ფოთში, მეიჯერებს გულს თიატრებით, კაბებით და ამობრძანდება ჯიბეგარეკილი. მარინემ რა იცის კაი ცხოვრების გემო!

მარინე ერთბაშად მოტრიალდა ბუჯერიდან და გარეცხილი ქვასანაყო ხელში შერჩა. იორდანემ თვალი შესწრო და განგებ შუბლზე მიიფარა ხელი.

— არ გაგიუდე, დედაკაცო, არ დამარტყა! — შეემუდარა მარინეს მარინეს გაეცინა.

— ნეტა, მართლა ასე გეშინოდეს ჩემი... ოჯახს არ დააჭცევდი. — უსაყვედურა გუნებაშეცვლილ ქმარს.

— მე დავაჭციე ოჯახი? — აიმრიზა იორდანე და მარინეს შიაშტერდა. უცებ ღიმილი გაჰქრა მჩს სახეზე. თვალები გაუფართოვდა, შუბლი მოიჩრდილა და თითქო გაქვავდაო, ალარ განძრეულა.

— რავა გიუივით მიყურებს, მიწაგასახეთქი! — აკაპასდა ისევ მარინე. — მიწა შენ გისკდება, როგორც გატყობ.

მარინემ ხელი მიიფარა საეჭვოდ წამობერილ მუცელზე. წელზედა შეისწორა. მიხვდა, იორდანეს ქარაგმის მისამართი მარინეს მუცლისკენ იყო მიმართული. ფერმქრთალი ლოყები შეუყვავილდა სირცხვილისაგან.

იორდანეს გულში ესიამოვნა მარინეს ფეხმძიმობა, ისე, როგორც ყოველი გლეხი სიამტკბილობს ცოლის ფეხმძიმობის ამბის შეტყობისას. მაგრამ განგებ შეიჭმუხნა და საყვედურებიც მიახალა ცოლს: ამ გაჭირვების დროს რა გეფეხმძიმებოდაო. ვითომ ეჭვიანობაც მოუგონა: ყველა ერის აღების აქეთია სიახლოვეს არ გაგკარებივარ და სულიწმინდამ და გაორსულაო.

მარინემ იფეთქა:

— უი, დაგიდგეს თვალები, შე მართლა ბილწო და გაფუჭებულობ თვითონ დაეთრევი კახპებში და... სხვას სწამებ ბოროტებას? ნააღდგო მევს რომ ამოეთრიე გალეშილი, ალარ გახსოვს?

იორდანემ თავი ჩაღუნა, თითქოს მართლაც რაღაცას იგონებსო.

— მერე?

— მერე... — გაჯავრდა მარინე და წელზე დოინჯი შემოიდგა. — რომ აბოდიალდი და არ შეისვენე, არც ის გახსოვს?

— მერე?

— აბა, ვის სწამებ ბოროტებას, შენ თითონ...

იორდანემ ველარ მოითმინა და გულიანად გადიხარხარა.

— გეხუმრე შე ქალო! ვინ ოხერი გადაცდება შენზე, მიწიდან ამოღებულს გავხარ...

— შენი შემხედვარე, ცოცხალი როგორ ვარ! — იწყინა მარინემ. სიჩუმე ჩამოვარდა.

მარინე ჯირკზე ჩამოჯდა. იორდანე ლოგინზე წამოწვა. ჭვარტლიან ჭერს მიაჩერდა.

დიღხანს იყვნენ გარინდებულნი და ხმაგაკმედილნი.

— შეშის ზიღვას რომ იძახდი, ხუმრობდი თუ რა ამბავია? — დაარღვია მყუდროება მარინემ.

— ვხუმრობდი კი არა.... ათ ღღეში უნდა გამოვზიდო სანაოზე.

— რა მოხდა ამისთანა?

— რიონი უნდა გადმოვაგდოთ ჭაობშით... გამოამცხადეს... არხი უნდა გავჭრათო.

— ვინ სთქვა, ყაზახო, მაგ სისულელე!

— ვინ სთქვა და სოლომონ ბრძენმა... თავკაცებმა სთქვეს... თვის ბოლოს მუშაობას ვიწყებთო.

— დამიდგეს თვალები! მართალს ამბობ, იორდანე, შეიღებს გაფიცებ?

მარინემ მორცხვად დაიხედა მუცელზე, თითქო თავის თავს ლსაყვედურებდა, ამ გაჭირვების დროს აბა რა გეორსულებოდაო.

იორდანემ უსიტყვოდ ამოიკითხა ეს მარინეს დალონებულ სახეზე: კი-დევ უფრო შეეცოდა ციებცხელებით ჯანგატეხილი ცოლა.

ეზოში ბავშვების ქრისმული გაისმა. კარი გაიღო და ფაცხაში გოჩა შემოფართქალდა. სულს ძლივს იბრუნებდა. ნავთის ჭურჭელი კუთხეში დადგა და უკან მიიხედა: ნუნუ რა იქნაო.

— რა მოგარდენინებდა, ბიჭო! — გაუწყრა იორდანე აქოქინებულ გივის.

— იმდენი მარბენინა... გული მტკივა... — საყვედურით შემოვიდა ფაცხაში ნუნუ.

— გული ტკივა!... — გააჯავრა გოჩამ. — ვინ გაძალებდა? მართლა კინალამ დამავიწყდა... ბაბაია, ნოქარმა შემოგითვალა: ლარიბებზე ფართალია მოსული და მეიკითხეო.

ცოლქმარმა ერთმანეთს გადახედეს.

— იხუმრებდა ვინმე... — მარინეს გასაგონად სთქვა იორდანემ და ულვაშებში ჩაიცინა, მაგრამ გოჩას რა გამოეპარება. იორდანესთან მიიჭრა და თავგამოდებით შეეკამათა:

— არა, ბაბაია, დღესაც არიგებდენ სიებით... უამრავი ხალხი იყო დუჭანში.

— შენ სულ ხუმრობა გელანდება!... — წამოეხმარა გოჩას მარინეც, თუმცა თვითონაც ორჭოფად იყო, ნეტა ვის მოვაგონდიო. გოჩა გვერდით მოისვა და დაწვრილებით გამოჰკითხა, ვის მისცეს ფართალი, რამდენს იძლეოდნენ, რა ფერის იყო ჩითები, განი როგორი ჰქონდაო.

გოჩა გულმოდგინედ უამბობდა ნახულსა. და გაგონილს. ზოგჯერ ნუნუს იმოწმებდა — ხომ მართალია.

ტყუილიც რომ ეთქვა გოჩას, ნუნუ მაინც ეთანხმებოდა, უშინოდა, დროს შემირჩევს და მცემსი. გოჩა მეტად ანცი და მოჩხუბარი ბავშვი იყო... როცა შინ იყო, ნუნუს ეკრტიმლებოდა... გოჩა სჯობნიდა ყველა-ფერში გულმოსული ნუნუ ტირილით სკდებოდა, ამ ჭიამკვდარმა როგორ მაჯობაო.

იორდანემ მძიმედ ამოიხრა: მას შეშის საყადლები არ აძლევდნენ მოსვენებას.

შეშის გადმოზიდვამ საგონებელში ჩააგდო იორდანე. მოძალებული სამუშაო ბევრჯერ ჰქონია, ხელმოკლეობა სიღარიბესთან ერთად შეეზარ-

და მის ოჯახს, მაგრამ ასეთი ჯერ არ უნახავს. მთელი ზაფხული ტყეშა გაატარა იორდანებ. შეიღი-რვა საუენი შეშა დააყენა. ფიქრობდა, ერთ თვეს კიდევ ვიმუშავებ შეშის საჩეხში, ბარებ ათ საუენად მოვათავებ და მთიღან ნახირი რომ დაბრუნდება, გამოტანას შევუდგებიო. სხვა რამესაც ფიქრობდა. რორდანე. თუ შეშა რიგიან ფასებში გავყიდე, სამას-ოთხას მანეთს გადავანარჩუნებ და... ოდა-სახლისათვის ფიცრებს ვიყიდიო. მარინე-საც გაუმხილა თავისი განზრახვა... მარინემ მოუწონა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ხელაპყრობით დალოცა... გულში კი ასე გაიფიქრა, თუ-თქმეტი წელიწადია ოდა-სახლზე ვფიქრობთ, მაგრამ... ღერი ფიცრი ვერ შევმატეთ ოჯახსო.

ეს ფიქრი უსიტყვოდ ამოიკითხა იორდანემ მარინეს სახეზე. ხელაპყრობით დალოცვა დაცინვად ჩამოართვა მაყვარანცხი ენის პატრონ ცოლს და გადასწყვიტა, მოდი ბარებ მთავარ საიდუმლოებასაც გავუმუღლავნებ სიცოცხლე-ჩამწარებულ ცოლს, ერთხელ მაინც გავახარებო. მაგრამ გულს რომ შეეკითხა, განზრახვაზე ხელი აიღო. თუ წრეულსაც გამი-მართლა მუშაობამ, ოჯახის საჭიროებას ცოტას წავაკლებ, შარშანდელს, წავუმატებ, ვიყიდი ფიცრებს, საშენ მასალას, დავტვირთავ ურმებს და ეზოს რომ გადავათეთრებ ფიცრებით, მაშინ უფრო მეტი ღირსება ექ-ნება საიდუმლოების გამუღლენებასო.

საიდუმლო კი ის იყო, რომ იორდანეს ექვსასი მანეთი ჰქონდა თავ-მოყრილი და გადამალული. ოჯახს ტანფეხი აკლდა, ხეირიანი სასმელ-საჭმელი, ოჯახის ალათვი და სასტუმარ-მოყვარო სირცხვილ ნამუშისათვის საჭირო ხელგაშლილობა. მაგრამ იორდანეს ოდა-სახლის ფიცრები ედგა თვალწინ, ოდის კარ-ფანჯარა და სინათლიანი ოთახი ელანდებოდა... ამიტომ იყო ხმაგაქმენდილი. ამიტომ ჰქონდა თავნაყარი ფული ცხრაკლიტულში შენახული. იმ დღესაც გულგრილად შეხედა იორდანემ საშინაო კაბა-გაცვეთილ მარინეს, ფეხშიშველ ბავშვებს და ენას კბილი დაადგა. საიდუმლოების გამომუღლავნებაზე ხელი აიღო. იორდანეს თითქმ ეშინოდა, თუ გავამუღლავნე რჩი გროშის გადამალვა, ამიყაყანდებიან, ტანზე არ გვაცვია, ფეხშიშველები ვართ, მისაჭირელი გვენატრებაო და... იორდანეს ქვის გული როდი აქვს: წავა ფოთში და ნაყიდ-ნავაჭრით ცოლშვილს გახარებს, გატყავებულ ქვესაგებსა და სახურავს პირ-სარჩულსა და მითელს გამოუცვლის. ბრდლიალა ჩითის საბნები გულსაც გაუხარებს და ტკბილადაც მოასვენებს. მაგრამ ოდა-სახლი?

იორდანემ ასე გადასწყვიტა: ის გადამალული ფული, ვითომ არ არ-სებობს ამ ქვეყნად... არც არასოდეს ჰქონია და ვითომ არც ახლა გააჩნია გროში-ქაბეიფი. ადგა და ტყეს მიაშურა.

დღეს ისევ ჩაუმწარეს ნეტარი ფიქრები. შეშის ჩეხაზე ხელი ააღებინეს. გაღმოზრდვის საზრუნავი უდროოდროს გაუჩინეს. ნაწილობრივ უკვე ჩაიშალა იორდანეს გეგმა. საყადლებს ათ საუნად ველარ მოასრულებს. ათს ვინდა სჩივის: რაც დამზადებული აქვს, შეიძლება ისიც დაეკარგოს...

ფიქრებს თავი ველარ გაართვა.

ადრე ივახშმა და დაძინებამდე მთელი სოფელი ჩამოირბინა, ხარუემი ვერსად იშოვა. მეზობლის დედაკაცმა მიასწავლა: საღვამიჩაოში ბურდუ ჩაჩუას ჰყავს უღლად ხარებით, მაგრამ ისიც დაატანა: ჩაჩუა საჭ თუმან ნაკლებ სახრეს არ მოიქნევსო.

იორდანემ ხელი ჩაიქნია.

დღეში სამ-სამი თუმანი რომ მეხრეს აძლიოს ფოთში ჩატანილ შეშაში, თავნი ვერ აინაზლაურებს. შეძენილი გროშებიც ხელიდან წაუვა და ვინ იცის, შეშას რა მაზანდა დაუდგება.

იორდანეს მიკიტან გვასალიას ონი მოაგონდა: იმ დღეს თავნიც ველაქ გაანალდა იორდანემ. კომპერატიული სასაღილოების გაშეებმა პირი რომ შეკრან და შეშა სახელმწიფო დამზადების ფასებში მოითხოვონ?

— არა, სამ თუმანს ვერ მივცემ, ბატონი! — გადაწყვეტით თქვა იორდანემ და მეზობლის დედაკაცს „ძილი ნებისა“ უსურვა.

— რაღა ახლა მოაგონდათ რიონის გადმოგდება?! — ბუტბუტებს იორდანე და უცხო ხალხთან შეხვედრა აგონდება.

მოულოდნელი იყო იორდანესთვის რიონის გადმოგდების ამბავი. გაზეთებში ბევრჯერ ამოიკითხა, კოლხიდის ჭაობი უნდა ამოშრესო, მაგრამ თუ ჭალადიდის ტყეში ვინმე ფეხს შემოდგამდა, ეს არ ეგონა. ჭაობის ამოშრობა არც ახლა სჯერა. ტყუილ ოცნებად მიაჩნდა, მაგრამ ეს საქმეს მაინც არ შველის. რაკი იორდანეს საყადლები არხის ფართობში მოხვდა, შეშის გადმოზიდვა მაინც აუცილებელია. ისე, — იორდანეს ფიქრით, — რიონის კალაპოტს ვინ შეუცვლის, წისქვილის დელე ხომ არ არის, რომ ჯებირი გაუკეთო და წყალს მიმართულება შეუცვალო...

— მე კი დამღუპეს და... ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ! — ხმამალლა წაიბურტყუნა იორდანემ და თემშარაზე გავიდა.

მთვარიანი ღამე იყო. რიონის პირად მეფეშალიები უსტვენდნენ. მოსარკული ცის ეშხსა და მშვენიერებას ჩიტუნებიც აუმეტყველებია.

იორდანე ბედის ვარსკვლავს დაეძებდა უსაზღვრო სივრცეში. „ირმის ნახტომს“ თვალი გააყოლა და პაპის მრავალგზის ნაამბობი მოაგონდა: ფოთიდან ვაჭრები ორანში მოგზაურობდნენ. ყვირილას შესართავამდე ნავებით მიღიოდნენ. ყვირილადან, შორაპანზე გავლით, სურამს გადაყელავდნენ და თბილის-ჭალაქს ჩავიდოდნენ. თბილისიდან თავრიზს მიეშურებოდნენ.... ჭარავნის გზის მაჩვენებელი „ირმის ნახტომი“ იყოო.

შეეხარბა იორდანეს უცხო ქვეყნებში მოგზაურობა. ჯარისკაცობას რომ გადარჩა, ტაშკენტს გაემგზავრა იორდანე. ორი წელი დაჰყო უცხო ქვეყნაში. „ირმის ნახტომს“ იქც ხელავდა, მთვარესაც. იორდანე ნაცნობ ვარსკვლავებს შეჰყურებდა... ფიქრობდა, ეს ვარსკვლავები ჩემს ეზო-მიღამოს დაჰყურებენო და კმაყოფილი იყო; რომ მისი თვალები ასე ხარბად შეჰყურებდნენ მისთვის ხელმიუწვდომელ საგანს, რომელიც თანაბრად აშუქებდა კოლხეთსა და შორეული ტაშკენტის მიღამოებს. სამშობლო ქვეყნის განშორების დარღი არ ასვენებდა იორდანეს. სახარბი-ელო ბევრი არაფერი ეგულებოდა სამშობლოში, მაგრამ ტაშკენტი. მაინც მიატოვა და ისლიან ფაცხას დაუბრუნდა საღვამიჩაოში.

მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა. რამდენმა წყალმა ჩაიარა. იორდანე დლესაც იმ ფაცხაში ცხოვრობს. წრეულს აპირებდა ისლის ბულულის „თავზე გადაძრობას“ და ბოლშევიკებს სწორედ ახლა მოაგონდათ ჭაობის ამოშრობა...

იორდანემ მწარედ ამოიოხრა, შესდგა და... სტვენას წაუყურადა, რიონი ფუხფუხით მიარღვევდა ლაჟვარდ ტილოებს... ფოთის ბოლოს უძრავ მორევად იშლებოდა.

მორევს გადახედა იორდანემ. მორევის ფსკერზე გავარვარებული სპილენძის ტაშტივით აბრჭყვიალებული მცხრალი მთვარე დაინახა. აქა-იქვარსკვლავები გაიელვებონენ ციცინათელებივით. კაცი იფიქრებდა — თეთრი კენჭები კიაფობენო.

(გაგრძელება შემდეგ ნომრებში)

# ხ ა ღ ხ ხ ი გ ე მ ო ქ ა ღ ხ ხ

## ლ ე ჭ ს ი ლ ე ნ ი ნ ე

ეს ჩვენი მამა ლენინი  
ქვეყნისა იყო დარია,  
აგვინთო ელექტრონები,  
მზისკე შეგვიღო კარია;  
სუსკელამ წიგნი ისწავლა,  
არ დარჩა უცოდნარია,  
ასი წლის მოხუცებსაც კი  
გაახელინა თვალია;  
ოქროს სხივებით შეუმკო  
მუშა ხალხს გზა და კვალია;  
შორს გაგვირეკა ჩვენ მტრები,  
თავს დასცა რისხვის ზარია;  
ზღვაში ჩაჰერა სამნები,  
ზედ გადიყვანა თაღია, —  
ეს ჩვენი მამა ლენინი  
არვის ეგონოს მკვდარია:  
სურათში შენახული გვაქვს,  
როგორც ბელადის ცალია.

მთქმელი ს. ვარიანტი გლეხი  
ხოსო სტეფანიშვილი.

## ლ ე ჭ ს ი ს ტ ა ლ ი ნ ე

ჩვენი ბელადი სტალინი  
მთელს ქვეყანაში დიდია,  
მოქალაქე და გლეხები  
სუსკელა შასთან მიღიან.  
სუსკელას აძლევს სამართალს  
ჩაწალიკებულთ მწერივადა:  
მუშას, გლეხსა და საწყალსა  
გულმკერდზე ივლებს მძივადა.  
კოლექტივები აზარდა,  
გაიგდო დიდი სახელი,  
თურმე მკვდარიცა ცოცხლდება.  
კაცი იმისი მნახველი.  
გვერდში პყავს ვოროშილოვი  
თავისი დიდი ჯარებით,  
ჯარებსა ეუბნებიან,  
თქვენამც-კი გენაცვალებით!

თმი არ გვინდა და მტერმა  
 თუ რომ ჰქმნა საჭოჭმანები;  
 ქვა ვასროლინოთ კუდითა,  
 ვუჩენოთ ჩვენი ძალები,  
 მივაწვეთ შეერთებულად,  
 შიგ შევუმტვრით კარები,  
 დავლეწოთ მღიდართ ტახტები!  
 ძირს დავსცეთ კაპიტალები,  
 პარტიას ხელი შევუწყოთ,  
 ავზარდოთ პარტიზანები.  
 თავის სყავარელ ბელადებს  
 ხალხი ეძახდა ვაშასა,  
 მათს სახეს ისე შესტრფოდნენ,  
 როგორც მზე-მთვარის კაშკაშა.  
 მაშ გუმარჯოს სტალინსა,  
 ჩვენსა მხსნელსა და მამასა!  
 ის არის ჩვენი სიცოცხლე —  
 მე ყველგან ვამბობ ამასა!

მთქმელი კავთისხეველი გლეხი  
 განო ირემაშვილი.

### სიმღერა

ტკბილად იმღერეთ, მუშებო,  
 ბანს გაძლევთ მთელი ერია,  
 ვაშენებთ საქართველოსა,  
 მას ხელმძღვანელობს ბერია.  
 სოციალიზმის მზე დადგა  
 ბელად სტალინის რჩევითა;  
 მოუსავლეთში ჩაცურდა  
 წარსული თავის ბნელითა.  
 თუ მტერი მტრობას არ მოჰშლის,  
 ჩვენც დავუხვდებით მტრულადა, —  
 ჩვენი ვალია ვიბრძოლოთ,  
 მოძულე მოვსპოთ სრულადა,  
 ლენინის ანდერძი გვქონდეს  
 ბრძოლის თავად და გულადა.  
 თან შრომის ულელს მივაწვეთ,  
 დავლვაროთ შრომის ოფლიო, —  
 სტალინმაც შრომით შეამკო  
 მუშურ-გლეხური მსოფლიო \*).

მთქმელი ოძისელი გლეხი  
 დათიკო ჩიტიშვილი

\*). ყველა ლექსები ჩაწერილია ი. მჭედლიშვილის მიერ.

## აპ. გაფერელია

### სულხან-საბა ღრმელიანის პროცა

1

1713 წელს ფრანგი მისიონერი რიშარდი სწერდა კონსტანტინეპოლიდან საფრანგეთის მინისტრს ტურსის სულხან-საბა ორბელიანის შესახებ:

„ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი (VI) და მისი სახლობა. ამისთვის ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა; უგრეთ-ვე მთელს საქართველოსაც მამად მიაჩნია“.<sup>1)</sup>

ტოსკანის მისიონერთა არქივს შემოუნახავს ცნობა მისი გარეგნობის შესახებ:

„...60 წლისა არის, მაღალი ტანისა, მხნე და ძლიერის აგებულობისა; მშვენიერი სახე აქვს და თეთრ-მოწითალო ფერი; ერთ მტკაველზე მეტი გრძელი წერი აქვს, რომელიც დიდად უხდება“ (იქვე, 328).

შეგვეძლო უფრო ვრცლად მოგვეთხრო მისი შესანიშნავი ბიოგრაფია, მაგრამ თეორიული წერილის შესავალად ზემოთმოყვანილი ამონაწერე-ბიც კმარა. ეს ადგილები მოკლედ, მაგრამ საკმაო მჭერმეტყველებით გვაცნობენ დიდი მწერლის პიროვნებას.

2

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მთლიანი მიმოხილვა ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. გამოყოფილი გვაქვს მხოლოდ სპეციალური საკითხი: სულხან-საბა ორბელიანის პროზა და მისი მნიშვნელობა ჩვენს ტროისათვის.

სულხან-საბას პროზა საინტერესოა არა მარტო ისტორიულად. ვფიქ-რობთ, რომ ეს პროზა ძვირფასია ჩვენთვის სტილის მრავალი თავისებურებითაც. აუცილებელია შესწავლა იმ მეთოდებისა, რომლებსაც საბა მიმართავდა სიტყვის დამუშავებისას.

სულხან-საბა ორბელიანი ტილი მცოდნე იყო ქართული კლასიკური შემცირებისა. ლექსიკონზე მუშაობამ მოსთხოვა მას ნათარგმნი ფილო-

სოფიური ტრაქტატების, მატიანეების, საერო და სასულიერო ლიტერატურის შრავალი ძეგლის ლიხვისტური სიზუსტით შესწავლა. ამის მეტდევ შას ხელთ ჰქონდა არა მარტო უმდიდრესი ლექსიკური მარაგი, არამედ სიტყვათა კომბინაციებისა და ფრაზის გამართვის საშურო გამოცდილებაც. ამავე დროს საბა ითვლებოდა თავისი დროის მხატვრული გემოვნების მეტოად, რომელსაც ჸეფე-პოეტმა, ვახტანგმა, „გასაჩალხავად“ გაუგზავნა „ქილილა და დამანას“ თარგმანი.

სიტყვებისადმი ფანატიკური სიყვარულის მხრით სულხან-საბა ორბელიანი შოგვაგონებს ძეველს ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს — მთარგმნელებსა და ავტორებს, რომელთაგან ერთმა დეკლარატიულადაც გამოსთქვა ეს სიყვარული. მხედველობაში მაქვს „ქებად ქართულისა ენისად“ (X საუკ.).

ამ დიდი მუშაობის პროცესში სულხან-საბა ორბელიანი ინარჩუნებს უაღრესად ინდივიდუალურ სახეს. ტრადიციის დიდი მცოდნე თვითონ არ ემორჩილება ტრადიციას: არქაული ძეგლების მყითხველი და შემსწავლელი სწერს უბრალოდ...

საბას შემოქმედების ისტორიისათვის უცნობია ევოლუციური განვითარება.

„სიბრძნე სიცრუისა“ ავტორმა დასწერა „უამსა სიჭაბუკისა მისისა“. ახალგაზრდობაშივე დაასრულა საბამ თავისი „ლექსიკონი“. „მოგზაურობა ევროპაში“ კი დაწერილია 60 წლის მწერლის მიერ თრივეს — „სიბრძნე სიცრუისა“-ს და „მოგზაურობას“ — აერთებს სტილიური შეგავსება: თხრობის უბრალოება.

გამონაკლისს წარმოადგენენ შხოლოდ „ქილილა და დამანას“ რედაქცია და ჰომილეტიკური ნაწარმოები. პირველი „გაიჩალხა“ გარკვეული შეკვეთით, რის გამო მასში არქაული ელემენტი და რიტორიული ტონი სჭარბობს, ხოლო დავით გარესჯელის უდაბნოში ნაწერ ლოცვებში ავტორს, ბუნებრივია, არ შეეძლო დაეცვა თხრობის საკუთარი მანერა, რიუხედავად ამისა, თრივეში გამოსჭვივის საბას სტილის ზოგიერთი თავისებურება. მათ შესახებ — ცოტა ქვემოთ.

როგორ უნდა ავტსნათ სულხან-საბას ასეთი დამოკიდებულება მხატვრული მეტყველებისადმი?

თქმა იმისა, რომ „სიბრძნე სიცრუის“ არაკები შეუძლებელი იყო ან ტიკლერიკალურად განწყობილ ახალაგაზრდა სულხანს დაეწერა მწიგნობრული ენით — არაფერს არა ხსნის. მაშინ იბადება კითხვა: რატომ არა სწერს 60 წლის, კათოლიკე საბა თავის „მოგზაურობას“ იმ ენით, რომლითაც სწერდა, მაგ., ტიმოთე გაბაშვილი თავის „მოხილვას“? მაშასადამე, უანრული მომენტი აქ მოსატანი არ არის.

მეორე მოსაზრება — რომ სულხან-საბა ორბელიანი ხალხური ენის დიდს გავლენას განიცდიდა — მიუთითებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შინარსს მაინც არ არკვევს. ჯერ ერთი: სულხან-საბას ენა თუმცა უბრალოა, იგი მაინც განირჩევა ხალხურისაგან. საკმარისია შევაღაროთ „სიბრძნე სიცრუისა“ ეპოქის სი-

პელ-გუჯრებს ან უფრო ნაგვიანევი ხანის ნაწარმოებს — იესე ლექს ძის „თავგადასავალს“, რომ მაშინვე დავინახოთ განსხვავება საბას ზომიერ უბრალოებასა და აღნიშნულ ძეგლების ვულგარულ ენას შორის. ეს გან-სხვავება ჩანს აგრეთვე ჩვენამდე მოლწეულ საბას ეპისტოლალურ მემ-კვიდრეობასა (იხ. თამარაშვილის წიგნში) და მისი დროის კერძო მიმო-წერის შორის (შდრ. ვახტანგ VI-ის ბარათები იქვე). თვით მისტიურად განწყობილი გურამიშვილი უფრო ახლოსაა სასაუბრო ენასთან, ვიდრე საბა.

სულხან-საბა ორბელიანის უბრალოება შედეგია სიტყვაზე ზანგრძლივი შუშაობისა.

ორი ნაკადის — ხალხურისა და ლიტერატურულის — შეხვედრაში ჩამო-ყალიბდა საბას თავისებური, უბრალო მეტყველება. რომ მას გამომუშა-ვებული ჰქონდა საკუთარი პოეტიკა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მწე-რალს შეეძლო ემუშავნა საწინააღმდევო მიმართულებითაც: მის მიერ შესწორებული „ქილილა და დამანას“ თარგმანი ამის საბუთს წარმოად-გენს.

### 3

„თიმსარიანის“, „მელის წიგნის“ ან ეზოპეს იგავ-არაკთა ქართული თარგმანების „სიბრძნე სიცრუისაგან“ შედარებისას ცხადად ირკვევა ამ უკანასკნელის სტილიური ორგინალობა. ჩაგინდ დამოკიდებული არ იყოს სულხან-საბა შინაარსობრივად ამ უანრში მსოფლიო ლიტერატუ-რის სხვა თხზულებებისაგან<sup>2)</sup>, სიტყვათა დალაგების წესი, ფრაზული მა-მოხრა და ორონიული ტონი მის არაკებს განუმეორებელ ორიგინალო-ბას ანიჭებენ.

ჯერ თხრობის მანერის შესახებ.

„სიბრძნე სიცრუისა“ - ში მიღწეულია არაჩვეულებრივი სიზუსტე მოქ-შედების გაღმოცემისა. ფრაზა ყოველთვის ავსებულია შინაგანი ღინამი-კით. სულხან-საბა მტრობს აბზაცს, სამაგიეროდ მთელი ნაკვეთი იმდენად შეკუშშულია შიგნით, რომ ორ წერტილს შორის მოქცეული სტრიქონი მთელი აბზაცის შესატყვას როლს ასრულებს. ამიტომაც სულხან-საბას პროზაში სტრიქონი მეტწილად მიემართება არაკის მოქმედ გმირებს, იქ-ჭოველთვის ისმის მოქმედის სახელი, ნაცვალსახელა, ან ორივე ერთად. ამით არის გამოწვეული სიმრავლე ფორმებისა — „მან“, „მას“, „იგი“, „მის“ და სხვ.

მოგვყავს შაგალითები პირველი ფურცლებიდანვე:

„მის კაცის პატრონისა იგი ურია მისანი იყო, სცნა იგი ყო-ფილი, გაწყრა კაცსა მას ზედა, შეიპყრა, დიალაფა, მერხშელექ შისცა იგი სიკვდილად...“

„წავიდა კაცი იგი, მოვლო მრავალი ქვეყანა და უცნაურად მო-ვიდა ქალაქსა მის მეფისასა: მეფე მაღალთა ჩარდახთა ჯდა ნა-დიმად, და მგოსანი იგი იმღერდეს. ერთმან მათვანმან იცნა პატ-

რონი მისი, ქვე გავლილი, ატირდა და ჩანგი ხელთაგან გავარდა. ჭათხა მეფემ: „რა დაგემთხვიაო?“ მან მოახსენა ნახული მისი. მონახეს კაცი იგი და პოვეს“ („ხორასანელი მეფე“).

სახელები აქ ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან. აი ცალკე სტრიქონებიც: „იწყინა მან კაცმან და ეგრე თქვა“...

შეესწრაფა ხუროსა და მან კაცმან უთხრა: წარიღო კაცმან მან და წავიდა“.

„მან კაცმან სიგლახაკისაგან შეიწყალნა“. „მდიღირი იგი წავადა და არაბმა პური ხუროსავე მიუტანა, მან ყოველივე სათხოვარი მისცა“ („ძუნწი ვაჭარი“).

სულხან-საბას პროზაში განდევნილია ვრცელი გრამსტიკული პერიოდები, ცნებათა სიმრავლე აბზაცებში, სამაგიეროდ ბევრია მოქმედება და საგრძნობივი კონკრეტობა. აი მთელი არაკი:

„ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაეკარგა. საძებნელად წავიდა. ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურმე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურმე ეპოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა: „ვირი თუ შენია, საპოვნელა მომეციო!“ ერთმანეთისა ვერ შეიტყეს.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინძე გავას უჯდა. მივიღენ მასთან. აძან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურმე ის უფრო ყრუ იყო, ეგოზა დიაცს მართმევენო. ფიცი თქვა: „ცოლი მომიკვდა, ეს იმისი მოახლე არის, სხვისას ნუ გონებთო“. ვერც ერთმა ვერს გაიგეს რა ყადთან წავიდენ. ყველამ თავიანთი საჩივარი თქვეს. ყადი თურმე საბერით დაყრუებულიყო. რამაზანი იყო. ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მახარობელი ეგონა. თქვა: „რაღგან მთვარე უნახავთ, ნაღარას ჰყარითო!“ ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა“ („რამაზანის მთვარე“).

ამ არაკში თითოეული სტრიქონი ახალ მდგომარეობას უჩვენებს. მწერალი თითქოს გაურბის გაშლალ აბზაცს, ორ წერტილს შორის მრავალი მდგომარეობის აღმნიშველ პერიოდების შეერთებას კავშირის („და“) მრავალი ფორმით.

კიდევ მოვიყვანთ ერთს არაკს მთლიანად:

„ერთი მკერავი იყო დიდად ქურდი. რაც ნაქსოვი გამოჭრის ბევრი მოიპარის. ლამესა ერთსა ნახა, სიზმარი, პირთა ხე ამოსვლოდა, ყოველი ნაპარევი ნაჭერი ზედ ექიდა რტოთა. რა გაეღვიძა, შეშინდა, შვილს უთხრა: „როდესაც შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, სე მომაგონეო!“ ერთმან დიდებულმან დიახ უცხო იქროქსოვილი გამოაჭრევინა. რა პარვა დაიწყო, შვილმა ხე მოაგონა. ეწყინა მკერვალსა, მაკრატელი პირში ჩასცა და ეგრე უთხრა: „ამისთანა ნაქსოვი როდის უკიდაზე ზედაო?“ („ქურდა და მკერავი“).

როგორც მკითხველიც ხედავს, ამ არაკში ერთხელ არის ნახმარო კავშირის ფორმა („და“). იშვიათია მეორე მწერალი ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ასე უყვარდეს წერტილი, როგორც სულხან-საბას. აქედან: პუნქტუაციის უდიდესი მნიშვნელობა მის პროზაში („სიბრძნე საცრუისა“, „მოგზაურობა ეგროპაში“, კერძო წერილები<sup>3</sup>): სულხან-საბა-

ვანსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასვერი ნიშნების კონსტრუქციულ როლს, ყოველ მძიმესა და წერტილს მის არაკებში დაკისრებული აქვს მხატვრული ფუნქცია. ეს მატებს სულხან-საბას თხრობას იშვიათ ზომერებას, ზღუდავს მას მრავალსიტყვაობისაგან.

საერთოდ, სულხან-საბა ორბელიანი გვასწავლის ერთ-ერთს უმნიშვნელოვანეს ხელოვნებას — წერტილის თავის დროზე დასმას:

#### 4

ლაპიდარული სტილი მარტო „სიბრძნე-სიცრუისათვის“ როდია დამახასიათებელი. ასეთივე „მოგზაურობა ევროპაში“, ლექსიკონის წინასიტყვაობა და ის მოკლე ავტობიოგრაფია, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ქ. ქუთაისში აღმოჩნდა.

ამრიგად, ლაკონიური თხრობის პრინციპი სულხან-საბასათვის მარტო უანრს არ უკარნახებდა. საკმარისია მისი „მოგზაურობა“ გადავიკონოთ, რომ დავინახოთ: სიბერეში შესული დიპლომატი სწერს „სიჭაბუკის უაშს“ გამომუშავებული სტილით (არაა შემთხვევითი ისიც, რომ საბას ამ „მოგზაურობაში“ შეტანილი აქვს რომში გაგონილი ერთი არაკი). ეს თანმიმდევრული უბრალოება ნაყოფია იმ გარემოებისა; რომ სულხან-საბა ადრე შეუდგა ქართული კლასიკური ლიტერატურის შესწავლას („ლექსიკონის“ მზადების პერიოდი) და თავიდანვე აირჩია საკუთარი გზა არქაული თხზულებების გარემოცვაში. ამიტომ შემდეგ აღარ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან.

აქ თავს ჰყოფს „ქილილა და დამანას“ თარგმანის ქავითხი.

ჯერ ერთი: თვით ვახტანგ VI-ის თარგმანის „გაჩალხვის“ დროსაც საბას არ უღალატნია თავისი უმთავრესი პრინციპისათვის, თხრობის ლაკონიურობისათვის. მკითხველს არა აქვს საშუალება ვრცლად შეადაროს საბას მიერ შესწორებული თარგმანი ვახტანგ VI ის დედას (ეს უკანასკნელი გამოუცემელია), მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი პარალელებიც<sup>4)</sup> კმარა ჩვენი წერილის ამ ადგილისათვის. აირჩენიმე მაგალითი:

#### გათხანგ:

„წინათ უამსა და დროს  
ერთი დედაქერი იყო“  
„თავის ნათესავი რმ სიკეთითა  
და სიმსუქნითა დაინახა“.  
„კარგი და მხიარული“  
„დაცუმითა და დავარდნით,  
ხან აღგომით“.  
„თუ შენ სხვის სარგებელი  
შევიძლია, — ის უკეთესია,  
ვაოემ შ ნ სხვითან გერგოს  
და სხვისგან ცდილობდე  
სარგებელს..“

#### საბა:

„იყო ერთი დედაბერი“  
„თავის ნათესავი გაპოხებული  
ნახა“.  
„ფრიად მშვენიერი“.  
„ლონლილით“.  
„და ეს უმჯობესია, შენ  
სხვას არგებდე, ვირემ შენ  
სხვისგან რგებას ცდილობდე“!

ზემოთმოყვანილი ადგილები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ საბას ლად კონიურ სტილს (მრავალსიტყვაობის ნაცვლად ერთი ეპიტეტის დატოვება, სტრიქონის ვიწრო ჩარჩოებში ჩასმა, კავშირის ფორმების განდევნა და სხვ.). გარდა ამისა, საბას მიერ გასწორებულს თარგმანში მიღწეულია ქართული ფრაზის კოლორიტურობა, ლექსიკური სისუფთავე, — ყველაფერი ის, რაც აკლია ვახტანგის თარგმანს. მაგრამ საბას რედაქციას ახასიათებს გადაქარბებული არქაზაცია და პათეტიური ტონი, — რაც სრულიად არ შეჰქვერის „გამჩალხავის“ პოეტიკას.

სულხან-საბა ორბელიანს ამართლებს ის. გარემოება, რომ „ქილილა და დამანა“-ს რედაქცია მუშავდებოდა გარკვეული საზოგადოებისათვის. ისიც მეფის შეკვეთით. ამრიგად, „ქილილა და დამანას“ გაჩალხვის მხატვრული შედეგი ერთგვარს გამონაკლისს წარმოადგენს საბასათვის და ახასიათებს უფრო ეპოქის ლიტერატურულ გემოვნებას.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ, ორი სხვა გარემოებაც ლაპარაკობს.

1) თვით „გაჩალხულ“ „ქილილა და დამანაშიაც“ გვხვდება ადგილები, რომლებიც თავის უბრალოებით ზოგჯერ მოგვაგონებენ. საბას არაკების უბრალო თხრობას და

2) „ქილილა და დამანა“ გასწორებულია საბას მიერ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, მოგზაურობის შედგენის მახლობელ წლებში. ეს უკანასკნელი დაწერილია არაკების სტილით. ამის შემდეგ საკითხავია: როგორ მოხდა რომ საბა „ქილილა და დამანას“ არ სთარგმნის საკუთარ არაკების ენით (უნარული ერთიანობა ხომ ამას უფრო მეტად ავალებდა?) ხოლო „მოგზაურობაში“, არსად არ მიმართავს პათეტიურ ტონსა და არქაზმებს (მით უფრო, რომ ამ უნარში პიროვნული დიქცია ხშირად სჭარბობს ეპიურ თხრობას)? მაშასადამე, საბას სტილს რაიმე ევლაუცია არ განუცდია არქაზაციისა და რიტორიკის მიმართულებით.

რაც შეეხება სულხან-საბას ჰომილეტიკას, ბუნებრივია, ის ვერ შეიქმნებოდა „მოგზაურობისა“-ა და „სიბრძნე-სიცრუისა“-ს სტილით. აქ დიდი როლი ითამაშა უნარის ტრადიციამ, რომელსაც ვერც საბა აუვლიდა გვერდს. გარდა ამისა, მისი „სწავლანი და მოძღვრებანი“ გამიზნული იყო ეკლესიის კედლებში მყოფთათვის.

მაინც პატარა შენიშვნა: თუ მწერლის უს ჰომილეტიკური მემკვიდრეობა ოდესმე ელიტსება დაბეჭდვას, დავინახავთ, რომ სულხან-საბა ზოგან თითქოს არ ემორჩილება ბიბლიური მეტყველების რიტმს და ქართველი ჰიმნოგრაფების. მიერ კანონიზებულ მჩიმე სინტაქსიურ კონსტრუქციებს. საბას არქაულ „ქადაგებებშიაც“ მოსჩანს, თუმცა იშვიათად ავტორის თხრობის მანერა.

დიდი ლაკონიზმი თხრობაში, უბრალოება, შეკუმშული ჩარჩოება ფრაზისა, — ასეთია სულხან-საბა ორბელიანის პროზის ნიშნობლივი მხარეები. იმ ეპოქაში, როცა არ არსებობდა სტრიქონის მოკვეთილობისა და

უბრალოდ გამართვის შეგნება (ამის მიზეს მე ვეძებ ირანული ეპოსის გადმოქართულებაში: ეს დაუსრულებელი „სარილონიანები“ და „ბარა-მიანები“ ამბავთა მოშორებულ თხრობას შეიცავდნენ) და ორცა ეკლესიური ორატორის მაღალფარდოვანი ტონი თანდათან ისწრაფოდა ლიტერატურის ცენტრისაკენ, — საბას. შემოაქვს თითქოს მიამიტური მეტყველება, რომელიც იმ თავითვე ამხელს მწერლის იშვიათ ტაქტსა და ზომიერებას.

ასეთი იყო სულხან-საბა ცხოვრებაშიაც (შდრ. მისი წერილები საფრანგეთში მინისტრ პონშარტრენისადმი თამარაშვილის წიგნში).

სულხან-საბა ორბელიანმა შედარებით აღრე მიაღწია ძდეალურ კანონს: აღამიანებსა და საგნებზე საუბარს, რომ მოჩვენებითი გულუბრუკვილობა (თხრობაში) იმავე ღროს ცხადყოფს ძნელად მისაღწევ უბრალოებას.

სულხან-საბა არსად არ უმატებს ტონს, ის არ არის აღტაცების მწერალი. ამ თვისებამ აცილა მას ყალბი პათოსი, რეზონერობა და ჭარბი მგრძნობაჲერება.

სულხან-საბა იშვიათად მიმართავს აგრეთვე ორნამენტს, ის არაა მოზაკის ღსტატი. ამიტომაც დიდი ზომიერების გრძნობას იჩენს რქ, სადაც ფერებშის განაწილება სჭირდება. მწერალი ამას აღწევს შემდეგი ხერხით: თავდაპირველად აღნიშნავს მოქმედების მომენტს, შემდეგ შლის (ძალიან ძუნწად) ფერებს და ბოლოს ისევ უბრუნდება მოქმედების აღმნიშვნელ თხრობას. მაგ.

„...ცოლი მყვა ერთი. მასთან მთიები ცას ვერ გაანათლებდა: ყორნის ფრთე მისის წარბისაგან გრემა ქმნილ იყო. მისის ღაწვის მეშურნეობით მაისის ვარდი ალარ იშლებოდა. მისის პირის ბაძითა, ვეცხლის ახალი ჩალხი მოევლო, მისის ტანადობისა შესულობას კვიპაროზი გაეკვირვებინა. მყვა და მიხაროდა“...

ან კიდევ:

„მამამ მომგვარა ცოლად ჭალი. ღიდებულისა კაცისა, მშვენიერი, გაბაღრული, მთვარე ვერ უსწორებდა. დოდად მიყვარდა“.

ავტორი თითქოს ჩარობს, გარეგნობის აღწერას სცვლის მოქმედებიდან. 5)

სულხან-საბას ასეთი ადგილები უმთავრეს ად წამოდებულების მიმდებული აქვს პოეზიიდან. აქ უპირველეს ყოვლისა ჩანს რუსთაველის გავლენა: „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორების დაშლა პროზულ კონცერუეტიკიებში.

არა კების პლასტიკურად გამართულ ადგილებში სულხან-საბა თავის პოეტურ კულტურას იყენებს, თუმცა ძალიან იშვიათად.

ცნობილია: სულხან-საბა ორბელიანი, როგორც პოეტი, დიდი რეპუტაციათ სარგებლობდა. განსაკუთრებით „ქილილა და დამანას“ ლექსებში გამოჩნდა მისი ორნამენტურა ხატვის ნიჭი. მამუკა ბარათაშვილი სწერდა:

„საბა-ბულხან ორბელიანმა ქილილა და დამანა გალეჭსა. თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებადაც სათქმელი არ არის“ („ჭაჭა-ნიკი“). ასეთი შეფასება იმით არის გამოწვეული, რომ „ქილილა და დამანას“ ლექსითი ცდილებში საბა საცხებით აკმაყოფილებს ეპოქი! მრახოვნილებას: მხატვრულა შედარებებისა, მეტაფორებისა და მოზაიკური ფერების ჭარბად ხმარებას. სამაგიეროდ საბა დიდს სიძუნწეს იჩენს ამ მხრით საკუთარ პროზაში ④).

თხრობრო ტონის სიწყნარისა და ორნამენტის ძუნწად ხმარების მხრით ახალ ჭართულ პროზას ბევრის სწავლა შეუძლია საბას პროზისა-გან. ყოველ შემთხვევაში, მის არაკებსა და „მოგზაურობას“ შეუძლია კონტროლის როლი შეასრულოს.

შეცდომა იქნებოდა, თუ ვითქმირებდით, თითქოს სულხან-საბას სტილი მარტო მის უანრს შეეფერებოდეს და ონამედროვე პროზას არ შეეძლოს მისგან რაიმეს მიღება. ფლობერი აფრთხილებდა ლუიზა კოლეს:

„რამდენიმე მშრალმა ლაბრეულმა მეტი სარგებლობა მომიტანა მე. ვიდრე ბოსხუეტმა, რომლის აღმაფრენა უფრო ახლოსაა ჩემთან. შენი ლექსი ხშირად ფილოსოფიურია და ცარიელი, გადაჭარბებულად ლამაზი და რამდენადმე აბნეულიც. იყითხე, გადაიკითხე, გულმოდგინეთ გააჩიე და შეისწავლე ლაფონტენი, რომელსაც არ გააჩნია არც ეს ღირსება და არც ეს ნაკლულევანებანი. დალახვროს ეშმაკა, მე არ მეშინია, რომ შენ არაკების წერას დაიწყებ“ („წერილები“. რუს. თარგ.).

ლაფონტენისა და „მშრალი ლაბრეულის“ სახელები შემთხვევით როდი აქვს ნახსენები ფლობერს, რომელიც ხშირად კითხულობდა აგრეთვე რაბლეს. მე განვებ მოვიყვანე, ეს ამონაწერითანამედროვე რომანის ერთ-ერთი მამათმთავარის წერილიდან.

## 6.

სულხან-საბა ორბელიანის დაკვირვების ნიჭი ცნობილია (იხ. მისი „მოგზაურობა ევროპაში“). ასევე ცნობილია მისი ი რ თ ნ ი ა ც.

რასაკვირველია, ის არ ცდილა ყოფილიყო მკაცრი სატირიკოსი და ჩვენი ფიქრით შეცდომაა ანალოგის ძიება სვიტტთან. საბას აკლდა „გულივერის მოგზაურობისა“ და „კასრის ზღაპრის“ ავტორის გამანადგურებელი სარკაზმი. ეს არც შეეფერებოდა მის მწერლურ ნიღაბს.

„სიბრძნე სიცრუის“ ირონია, მიმართული თანამედროვე ეპოქის მწავალი სიმახინჯისა, აღამიანურ ნაკლულევანებებისა და ეკლესიის (ქრისტიანულისა და მაჰმადიანულის) მოღვაწეების წინაღმდეგ, ყოველთვის გამომდინარეობს თხრობიდან. ავტორს ამისათვის არ სჭირდება დამამცირებელი ეპიტეტების მოხვავება. მისი ირონია მუდამ გამჭვირვალეა.

აი როგორ დასკინის სულხან-საბა, მაგალითად, ასკეტებსა და პილიგრიმებს (მოგვყავს დასაწყისი არაკისა „მოძღვარი მელა“):

„ერთი მელა დაცანცალებდა. ძველითგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით საცხე, პირ-ლია დარჩომილიყო. სლვა-სა იქიაჭა, თურე შიგ ჩავარდა, ამობორტყდა, ამოვიდა, მელა შავად შე-

ღებული შეიქნა. დაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა. კითხა მე-ლასა: „რა დაგმართებიაო?“ მელაშ უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვაში და-ვალამე, ეხლა ჭეუა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი, ბერად შევდეგ, იერუ-სალიმს მინდა წავიდეო“.

სულხან-საბა ორბელიანი იყო პოეტი, ლექსიკოგრაფი, პროზის მწე-რალი, ჰომილეტიკი, თარგმანთა „გამჩალხავი“, ბიბლიის მონუმენტალუ-რი კრიკორდანსის შემდგენელი, და, ბოლოს, დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

ჩვენი დრო სულხან-საბა ორბელიანისაგან ღებულობს უმთავრესად მხატვრულ და მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომლის კრიტიკულად შეს-წავლა დაგვეხმარება ახალი, სოციალისტური ლიტერატურისათვის ბრძოლაში.

### შეიცვები:

1) მ. თამარაშვილი: ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902, გვ. 313.

2) მეცნიერული ძიებანი ამ მიმართულებით ჩატარებული აქვთ: პრ. ა.ლ. ცა-გარელს (იხ. მისი „Книга Мудрости и Лжи. Грузинские басни и сказки XVII — XVIII стол. Саввы-Сулхана Орбелиани“, СПб, 1878), პრ. კორნ. კე-კელიძეს („ქართ. ლიტ. ისტორია“, ტომი II, 1924), პრ. გ. ავალიშვილს („Die Weisheit der Lüge, gesprochen von Salchan-Saba Orbeliani“, Berlin, 1933, გვ. გვ. 11 — 53: Einleitung) და სხვ.

ქართულს სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად დაუმუშავებელია „სიბრძნე სიცრუისა“-ს სიუჟეტური კონსტრუქციის საკითხები. გაკვრით, მაგრამ საინტერესო შენიშვნები აქვს გამოთქმული ვ. შკლოვსკის საბას არაკების შესახებ წიგნში: „О теории прозы“, იზდ. Круг, 1925, გვ. 64, 92, 95).

3) სამწუხაროდ, არაკებიდან ამონაშერები ჩვენ მოვყავს 1928 წლის ყოვლად უხერიო გამოცემის შინელფით. საბას ტექსტს ხელახლა ადგენს სოლ. იორდანიშვილი.

4) მხედველობაში შაქვს ალ. ბარამიძის ნარკვევი: „ანკარი სოჭაილის, ანუ ქი-ლილა და დამანას ქართული ვერსიები“ (იხ. მისი „ნარკვევები“... ტფ., 1929, განსაკ-გვ. 269-295); საბას მიერ გაჩალხული თარგმანისა და ვახტანგის დედნის პარალელუ-ბი მოყვანილი გვაქვს ამ ნარკვევიდან. იქვეა მოცემული ორივე რედაქციის დაწვრი-ლებითი დახასიათებაც.

როგორც მკვლევარი ალნიშნავს, საბა ზოგჯერ ავრცელებს თარგმანს, მაგრამ ეს უშეტესად შეეხება მთელს ნაკვეთს ან სტრიქონს, ფრაზას. ნაკვე-თი ან სტროფი შეიძლება გავრცობილ იქნას, ხოლო ფრაზის ლაკონიურობა — ზუს-ტად დაცული.

5) შდრ. ბუნების ალწერა: „ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა, წყალთა პირები ხენი შეენიერნი იდგნეს, დიდი კლდენი მოსცემდნენ, კორდნი მწვანენი ყვა-ვილოვანნი. თურმე ვეფხის სამკვიდრო იყო და მუნ დადგა“ (არაკი: „ვირი და ვეფხი“).

6) უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუმცა საბა ნაკლებად იყენებს ლექსის სემანტი-კას პრინციპებს თავის პროზაში, სამაგიეროდ მისი ლაპიდარული სტილი ლექსის მეტრიკის გავლენაზე ლაპარაკობს. ცნობილია, რომ ლექსი არ ითმენს მრავალი ტყ-ვაობას და შინაგანი ლაკონიურობა მისი კონსტრუქციის აუცილებელ პირობას შეა-დგენს (პროზად გაშლილი ლექსის ტაქს ყოველთვის აკლია ჩვეულებრივი სტრი-კონისათვის აუცილებელი სიტყვები). ჩვენის აზრით, საბას პოეტურმა პრატიკამ თა-ვისი ნაყოფი უმთავრესად მის პროზაში გამოილო. ამას მოწმობს მსახური სიტყვე-ბის სიმცირე და პუნქტუაციის დიდი როლი არაკებში.

## საგვოთა ხალხის მოგვარალი \*

„ხელოვნება ხალხს ცკუთვნის“.  
ლ ე ნ ი ნ ი.

ოდესლაც ძეელი ბერძნები ოცნებობდნენ — ხელოვნება გაეხადათ მთელი ერის, მთელი ხალხის საკუთრებად. ხელოვნება, მათის აზრით, საყოველთაო უნდა ყოფილიყო, რათა ყოველ მოქალაქეს ჰქონოდა უფლება გამობარიყო მისი მემობიარე და მხურვალე სხივებით. ამ აზრით ბერძნები აწყობდნენ გრანდიოზულ ოლიმპიადებს, საჯარო მხატვრულ გამოსვლებს.. ასი-ათასიან მაყურებელს ერთად აჩვენებდნენ დრამატიულ სანახაობას. ერთის სიტყვით, ანტიური საბერძნეთი სახალხო ხელოვნების კლასიკური ქვეყანა იყო.

შემდგომ ეპოქებში, კერძოდ კი ბურუუაზიულ ონდივიდუალიზმის ეპოქებში, ხელოვნების სახალხო ხასიათი თანდათან ჰქონდა, ხოლო უკანასკნელ საუკუნეებში ბურუუაზიამ ხელოვნება სპეციალის საგნად, ინდივიდუალური გამდიდრების წყაროდ გადააჭცია. ანტიური ოლიმპიადის ადგილს ბირეა იჭერს. თავისუფალ შემომქმედის ნაცვლად ასპარეზე გამოღის დაქირავებული, ელემენტარულ უფლებას მოკლებული ხელოვანი. გენიოსი საკუთარი სისხლით ჰქმნიდა მხატვრულ პროდუქციას, რაშიაც იგი მცირე მოწყალებას იღებდა, ხოლო ბურუუა იმავე პროდუქციიდან მიღიონებს იძენდა. ამ ნიადაგზე თანდათან ჰქონდა ხელოვნების ელინური სიჯანსაღე, სიმხიარულე, სინათლე, სიმამაცე და მის მამოძრავებელ ძალად ხდება სევდა. ეს იყო დრო, როდესაც გენია და შრომა ჰქონდოდა ლუკმა პურისათვის გამართულ სასტიკ ბრძოლაში.. უიშედობა, ტანჯვა, უუფლებობა აიძულებდა ხელოვნებას სევდიან კამერტონზე აეწყო ადამიანთა გულისთვის. ხალხი მათრახების ქვეშ გმინავდა, ხოლო ხელოვანი მასზე მწუხარე სიმღერებს სთხიავდა.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, მოსპონ რა ბურუუაზიული საკუთრება, ხელოვნება გამოიყვანა ინდივიდუალიზმის ტყვეობიდან. და გადააჭცია ხალხის საკუთრებად. ამიერიდან ხელოვნებისაგან მოითხოვნ არა სევდას, რომელიც ასუსტებს ადამიანის ნებისყოფას, არამედ სტალინურ სიმამაცეს, რომელიც აკაუებს ადამიანის სულს, სიმამაცეს,

\*). ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანის („ქარიშხლით შობილნი“) გამო.

რომელიც თავისი სიბრძნით ღრმაა და ფართო ისევე, როგორც ჩვენი უძლეველი დიდი სამშობლო, მგრძნობიარე, როგორც ჩვენი წიაპი ხაოხი.

უზომო სიყვარულს და მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ხალხი ყოველი ჰეშმარიტი შემომქმედისაღმი. დიდმა სტალინმა მათ ადამიანის სულის ინუინრები უწოდა. რამდენი ჰეშმარიტება ამ სამ სიტყვაში! კარგი ხელოვანი, ადამიანის სულის მშენებელია, ხელობათა შორის ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე სათუთი და ფრიად საპასუხისმგებლო-ამიტომ იჩენს პარტია და ხელისუფლება მისდამი ასეთ დიდ მზრუნველობას.

ასე როდი იყო ძველად, წარსულში. დანტე სამგზის აწამეს მაშინ-დელმა გაბატონებულმა წრეებმა, უილიამ შექსპირი და შოთა რუსთა-ველი ხომ უკვალოდ დაკარგული გენიოსები არიან ამავე ნიადაგზე. გე-ნიალური გოეთე დროის სისასტიკემ უნიჭო ჰერცოგის ყურმოჭრილ მო-ნად აქცია. შილერი, ჰაინრი, პუშკინი, ტოლსტოი დევნილი ადამიანები იყვნენ. ეს ბუმბერაზები, ფოლადით ნაჭედი აღამიანები ეძებდნენ ხალხ-თან მისასვლელ გზებს. ისინი სრული პოეტური ხმით მოუწოდებდნენ ხალხს გამოფხიზლებისაკენ, მაგრამ თავისუფლების მოყვარული კეთილ-შობილი ხმა მათ ყელში ჩაუწყიტეს.

ჩვენს დიდ სამშობლოში ხელოვანი სასიცოცხლო ძარღვით არის და-  
კავშირებული ხალხთან. ერთად-ერთი კრიტერიუმი შემომქმედის შეფა-  
სების ღროს არის ორგანიული კავშირი ხალხთან. მხოლოდ საბჭოთა-  
ხალხთან კავშირში შეიძლება დიდი მონუმენტალური ხელოვნების შე-  
ქმნა. დიდი მხატვრული პრობლემების დაძლევის ღროს ხელოვანი აქე-  
დან, ამ ხალხიდან უნდა იღებდეს ახალ-ახალ ძალებს, ისევე, როგორც  
ძველი ბერძნების მითოლოგიური გმირი ანთეოსი მოწინააღმდეგესთან  
ბრძოლაში დედამიწასთან შეხებით იღებდა ახალ ძალას დახარჯულ  
ენერგიის აღსაღენად.

სულეიმან სტალსკის, ჯამბულის და ხალხის სხვა მოღვაწეობის მაგალითი გვიჩვენებს. თუ რას ნიშნავს ხალხთან კავშირი. რო-  
ლების მაგალითი გვიჩვენებს. თუ რას ნიშნავს ხალხთან კავშირი. რო-  
ცა ჯამბული მღერის, მის გმირულ, მაგრამ მგრძნობიარე. ნათებამში  
ისმის საბჭოთა ხალხის ასეამოცდაათი მიღლიონის ხმა. როცა შამილის  
მომსწრე სულეიმან სტალსკი ფანდურზე თავის ხელახალ დაბადება-  
ზე მღეროდა, ეს იყო სიმღერა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც, დიდი  
სტალინის ხელმძღვანელობით, საკუთარი სრსხლით შექმნა უძლეველი  
სოციალიზმის ქვეყანა, ხალხის ნამდვილი სამშობლო. როცა ორივე თვა-  
ლით ბრძა, ლოგინად ჩავარდნილი სამოქალაქო ომის შესანიშნავი მებრ-  
ძლით ნიკოლოზ ისტროვსკი, ყრუ ბეთოვენის მსგავსად, ჰქმნი-  
დოლი მხატვრულ ნაწარმოებს, რათა შთამომავლობისათვის გადაეცა, თუ რა  
მძიმე და ძნელი, გზა გაიარა საბჭოთა ხალხმა, ვიდრე იგი ბედნიერ  
ცხოვრებას შექმნიდა. — აი ეს არის ძალა ხალხთან კავშირისა. აქ სცემს  
ნამდვილი ძარღვი ცხოვრებისა. როცა ხელოვანის მწიგნობრული სიბრ-  
ძნე ორგანიულად უერთდება. ხალხის სიბრძნეს, ჩვენ ვღებულობთ ჰეშ-  
ძნე მარიონი, ძალდაუტანებელ, ნათელ, პარმონიულ მხატვრულ ქმნილებას.

ნიკოლოზ ოსტროვსკის ყრმობა ისევე უსიხარულო იყო, როგორც  
მისი გმირის, პავლე კორჩაგინის ყრმობა. ჯერ კიდევ სრულიად ახალ-  
გაზრდამ იგემა კაპიტალისტური ცხოვრების სუსტი და სიმწარე; საკუ-  
თარ მხრებზე გამოსცადა მან ამ ცხოვრების სისასტიკე. ოსტროვსკის  
პირველი კონფლიქტი ცხოვრებასთან დაიწყო მღვდელთან შეტაკებით.  
კონფლიქტი ასაკთან შედარებით იმდენად ძლიერი იყო, რომ ოსტროვ-  
სკის სკოლა დაატოვებინეს: ამის შემდეგ ცხრა წლის ბავშვმა მთელი  
ვაბედულებით მისცა თავი კაპიტალისტური ცხოვრების მღვრიე ტალ-  
ლებს. მხოლოდ დედის მშობლიურმა სიყვარულმა და ქარხნის მუშების  
მზრუნველმა ხელშა გამოსტაცა ოსტროვსკი ამ ტალღებს. პირველი ლე-  
ნინურ-სტალინური გაწვრთნა მან ქარხანაში მიიღო. ამ ფაქტმა ოსტ-  
როვსკის ცხოვრებას სრულიად ახალი მიმართულება მისცა.

სამოქალაქო ომის დასაწყისშივე ოსტროვსკი ბრძოლის ველზე ვა-  
მოვიდა, როგორც სოციალისტური რევოლუციის უერთგულესი ჯარის-  
კაცი. პარტიის დავალებით, ფრონტზე იგი ასრულებდა ფრიად საპასუ-  
ხისმეგებლო დავალებებს. მაგრამ ბრძოლაში ბედმა უმუხლა და შტრის  
ყუმბარამ მებრძოლ ოსტროვსკში კონტუზია გამოიწვია. ამის შემდეგ მან  
დაჰკარგა ჯარისკაცის ფუნქცია. სამოქალაქო ომის გამარჯვებით დაგ-  
ვირგვინების შემდეგ საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძ-  
ღვანელობით, დაიწყო მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობა. ნახევრად  
ინვალიდი ოსტროვსკი ამ ფრონტზედაც ლირსეულად ასრულებდა პარ-  
ტიის დავალებას.

ოსტროვსკი ორჯერ იყო დაბადებული. მეორედ იგი მაშინ დაიბადა,  
როდესაც თავისი ბედი ბოლშევიკურ პარტიის დაუკავშირა და, ლენინ-  
სტალინის იდეებით შთაგონებული, ბრძოლის ველზე გამოვიდა როგორც  
რაინდი რევოლუციისა. ოსტროვსკიმ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უკა-  
ნასკნელ წლებში შაშხანა მჭრელ კალამზე გადასცვალა. მან, როგორც  
აღამიანმა, დაჰკარგა რა ერთი ფუნქცია, ბოლშევიკისათვის დამახასია-  
თებელი სულიერი სიდინჯით ხელი მოჰკიდა მეორე ფუნქციის ათვისე-  
ბას. ეს ცდა მისი გამარჯვებით დასრულდა.. მთავრობის მიერ მისი ლე-  
ნინის ორდენით დაჯილდოვება ამ ფაქტს ბრწყინვალე დადასტურება.  
იყო.

\* \* \*

ოსტროვსკის, როგორც შემომქმედს, ვიცნობთ ორი ნაწარმოებით:  
„როგორ იწრობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“. ჩვენს გან-  
ხილვის საგანს წარმოადგენს მეორე ნაწარმოები, რომელიც მხატვრული  
თვალსაზრისით გაცილებით მაღლა დგას პირველზე.

ამ ნაწარმოების ფონად აღებულია სამოქალაქო ომის დასაწყისი. ორი ქვეყნის ჭიდილი შესანიშნავი მხატვრული ფერებით არის მოცემუ-

ლი. მკითხველის ყურადღებას იქცევენ დასრულებული ტიპები. ერთ მხარეს სდგას სიგიზმუნდ რაევსკი, თავდადებული მებრძოლი, კატორგიდან გამოქცეული შესანიშნავი ბოლშევიკი, რომელიც განახლებული ენური-ით. რაზმავს ძალებს პანეპის ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშების მისატანად. მეორე მხარეს — გრაფი პოლკოვნიკი მოგელნიც-კი, სასტიკი, დაუნდობელი მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ. მოწინააღმ-დეგე ძალა ჭიდილი ზერელედ როდია აღწერილი, როგორც ზოგიერთ მწერალს სჩვევია. აქ სჩანს ზომიერების გრძნობა და ჩეალისტური ალ-ლო, ურომლისოდაც არ არსებობს ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება.

„ქარიშხლით შობილნში“ მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღე-ბას იქცევს ცხოვრების ცოდნა. ოსტროვსკისათვის, როგორც მწერლი-სათვის, ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენდა არისტოკრატიულ ყოფის მხატვრულად ასახვა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს სიძნელე ავ-ტორმა დასძლია. როდესაც კითხულობთ მოთხრობაში გრაფების ყოფის აღწერას, გაოცებული ხართ, — საიდან იცის მწერალმა ამ ყოფის ამდენი-დამახასიათებელი დეტალები.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ოსტროვსკი მოვლენათა აღწერის დროს ძალას არ ატანს ფაქტებს, თავის შეხედულებას თავზე არ ახვევს მასალას. პირიქით, ლოგიკური უშუალობით მიჰყვება ავტორი მომხდარ მოვლენებს და კანონზომიერად ცდილობს ამ მოვლენებში შემაკავშირებე-ლი ძარღვის ძალდაუტანებლად აღმოჩენას. ჩეალისტისათვის დამახასია-თებელი სიზუსტით და სიფრთხილით არის მოცემული ორივე მხარე. ხო-ლო თუ მოვლენათა მხატვრული გამოსახული გამოსახული გრაფების დროს ოსტროვსკის სიმპა-რია ან, უკეთ, მთელი მისი არსება სიგიზმუნდ რაევსკის მხარეზეა, ეს ხდება არა იმიტომ, რომ ასე სურს ავტორს, არამედ მოვლენათა განვი-თარების ლოლიკამ უკარნახა ავტორს ასე მოქცეულიყო.

ამ გზით იძლევა ოსტროვსკი გრაფ მოგელნიცების ყოფასაც. შესა-ნიშნავად არის აღწერილი ფრონტიდან დაბრუნებული, დიდი ანტანტის აგენტის პოლკოვნიკ ედუარდ მოგელნიცის არისტოკრატული განსვე-ნება საკუთარ მამულში ხანგრძლივი სამხედრო სამსახურის შემდეგ:

„მსუბუქად ჩამოშვებულ ფარდებიან დასაბინებელ ოთახში დილა ნაცრისფერ შუქით ფრთხილად შემოიპარა. ლუდვიგამ თვალები გაახილა, მაგრამ ფრთხილობდა არ გაეღვიძებინა ქმარი, გაუნდრევლად იწვა და ასე ათვალიერებდა მძინარეს. ედ-ვარდი ლრმად სუნთქვადა. მისი სუნთქვის მიხედვით განიერ ბალნიან მკერდზე ირ-ხეოდა აბრეშუმის პერანგი. უხეში, კუთხეებთან მრისხანე ნაოჭებიანი პირი ნახვრად ლია დარჩენდა. უძილო დამები; ხიფათის მუდმივი მოლოდინი, — ყველაფერი ერ-თად მულავნდებოდა. დალლილ-დაქანცულს ზომაზე მეტი ჭამით, მაგარი ლვინითა და ლუდვიგას აღერსით ჭამთვრალს ისე ორმად ჩაეძინა, რომ ძლივს მოასწრო ეთქვა-ცოლისათვის ყველაზე მთავარიც კი.

ედვარდი აქ იმიტომ არის, რომ ლუდვიგაც აქა. რა თქმა უნდა, ედვარდს არა-დროს არ ავიწყდებოდა იგი და ეს შორი სახიფათო გზაც. პარიზიდან ორი ფრონტის გადმოლახვით, შხოლოდ მისი გულისათვის არის მოსული. მართალია, მას ზოგიერთ-დავალებაც კი მისცეს... მაგრამ განა ის დასტოვებდა პარიზს, სამხედრო სამინის-ტროში მუშაობას, ხიფათსა და გაჭირვებაში ჩაიგდებდა თავს, ასე იწაწალებდა,

რომ აქ, მის მოლოდინში არ ყოფილიყო პოლონეთის უველაზე ულამაზესი ჭალი<sup>9</sup> უკანასკნელი სიტყვები მან წარმოსთქვა დაძინების წინ. იმ მცირე რამიდანაც კი, რაც ქალს უამბო ქმარმა, ლუდვიგიამ იგრძნო, რომ მწიფებოდა უდიდესი მოვლენები. თითონაც მიხვდა, რომ ახლოვდებოდა რაღაც გამანადგურებელი საშიშროება, მისი მრწამსისა და მთელი მისი ცხოვრების საფუძვლების შემრყევი“.

ეს იყო შიში სოციალისტური რევოლუციის წინაშე, რომელიც რუსეთში დაიწყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. აშის გაძი იყო ჩამოსული პარიზიდან ელვარდი: დიდი ანტასტის აგენტს აიხტერებდა არა გერმანელების, არამედ ბოლშევიზმის საკითხი, რომელიც დასავლეთისაკენ აგრძელებდა თავის ძლევამოსილ სკლას.

„ჩვენი სამხედრო მზევრაუცბი, — ამბობს მოგელნიცა, — იტყობინებიან მუშაოდა და ჯარისკაცთა მთელი რიგი აჯანყებების შესახებ ავსტრიაში, აგრეთვე ბერლინსა და პარიზით. ერთ-ერთ ჯავშნისაზე გემზე უკვე იფეთქა აჯანყებამ. ამბოხებები ყოველდღიურად უფრო გახსირდა და კაიზერის მთავრობას უკვე აღარ შეუძლიან გაუძლივდეს თათ. ეჭვს გარეშეა, რომ ახლობელი დღეები ჰოგვიტანენ ცნობებს რევოლუციის შესახებ ავსტრიისა და გერმანიაში. გერმანელები მოიქანცნენ, მათ გერაფეოდა უშველა, ვერც რუსეთის უნივიერსი ლექციის დაპყრობამ, ვერც დამშეული გერმანიისათვის უკრაინიდან პურისა და პირუტყვის გაზიდვამ: ერს არ სურს ოსის შეძლებიში გაგრძელება, რადგანაც მისი ზურგი ცაცხლის ალშია გახვეულა... როგორც ხედავთ, გერმანიას ემართება ის, რაც დაემართა რუსეთს. სისულელე იქნებოდა ფიქრი იმაზე, თითქოს რუსეთიდან რევოლუციის სენი არ შეიქრება ევროპაში, ის უკვე შეიჭრა, თვით ლიუდენდორფმა ალიარა, რომ გერმანიის ჯარის ნაწილები, რომლებიც უკრაინიდან გადაჰყავთ. საფრანგეთის ფრონტზე, შეპყრობილი არიან ბოლოევი ზრით და რომ მათ დაკარგეს ბრძოლის უნაოი. ისით საზიგათონიც კი არიან, რადგანაც სხვებსაც გახრწიან... გერმანიის მთელი იმპერიის შენობა ინგრევა... რა იქნება შემდეგ, ძხელი სათქმელია. თუ ბერლინშია გაიძეორა მოსკოვი და იქ შეიქმნა საბჭოები — ეს იქნება საშინელი მუქარა... როგორც კი ბერლინში ალი ავარდება, უკონიასაც და პოლონეთში დაიშლება გერმანიის ჯარი. ეჭვს გარეუა გერმანელები წავლენ და მათ შეირ დაკავებული მთელი ტერიტორია გადავა წითელი არიანის ხელში. წარმოგიდგნიათ, რა იქნება მაშინ? წითელი მოსკოვი, წითელი ბერლინი. ეს ევროპის დასასრულია. ვერც საფრანგეთი დაუშვებს ამას და ვერც ინგლისი. იცვლება სიტუაცია. წინათ ავსტრია-გერმანიის ჯარი წარმოადგენდა კომუნისტური რუსეთისაგან ევროპის გაშემო მიჯხას. ეხლა ეს მიჯნა ინგრევა. თუ ჩვენ მის ხაცვლად აჩალი ვერ ავაშეხოთ, საბჭოები ყველაფერს წალეკავენ. რით შეიძლება ვუშველოთ ამას?.. პოლონეთის რესპუბლიკის შექმნით.“

ასეთი იყო დიდ ანტანტაში გაერთიანებული იმპერიალისტური საჭელმწიფოების მზაკვრული გეგმა ბოლშევიზმის, საბჭოთა ხალის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიტროვესკის შესანერქნავად აქვს მოცემული ყოველივე ეს. მიუხედავდა იმისა, რომ რომანი ასეთ მძაფრ პოლიტიკურ კითხვებს ეხება, ავტორი არც ერთ მომენტში არ ჰყარგავს მხატვრულ ზომიერების გრძნობას.

დიდი ინტიმური სიყვარულით არის მოცემული ბოლშევიკ სიგიზმუნდ რაევსკის დაბრუნება კატორგიდან და მზადება ახალი შეტევისათვის. ეს ადამიანი არა მარტო შესანიშნავი მებრძოლია, არამედ ოჯახის უაღრესად

შოსიყვარულე მამაც. ავტორს დიდებულად აქვს აღწერილი სიგიზმუნდ ფაევსკის პირველი შეხვედრა უკვე დავაუკაცებულ შვილთან. მსინი ერთ-შანეთს შესცეროდნენ. ვაუმა ბევრი რამ იცოდა მამის შესახებ, ხოლო მამამ არაფერი აფვის ვაჟზე. სიგიზმუნდ რაევსკის აწუხებდა ეს გაურკა ვევლობა, რითი ცხოვრობდა და რას ელტვოდა ეს წარმოსადევი ჭაბუკი, როგორ მოეწყობა მათი ურთიერთობა: იქნება იგი მეგობარი, თანამებრძოლი, თუ დარჩება ნახევრად უცხო, გარეშე აღამიანდ მისთვის, რომელსაც ისე უნდა მოერიდოს, როგორც მეზობელ ობივატელი... ბოლოს მამა დარწმუნდა, რომ შვილი მისი მეგობარი იქნება ბრძოლაში. ეს გრძნობა უდიდესი მხატვრული ძალით აქვს მოცემული ოსტროვსკის.

ოსტროვსკიმ დიდი ოსტატის ხილვით იცის არა მარტო ტიპების, არა მედ მთელი ხალხის ფსიქოლოგია — ყველა მომენტში. ზუსტი მხატვრული კანონზომიერების დაცვით აქვს მოცემული უსაზღვრო სიყვარული სოციალისტური რევოლუციისადმი.

ასეთივე მხატვრული სიმართლით არის აღწერილი პოლკოვნიკ ედუარდ შოგელნცკის ჯალათური მოქმედება ხალხის მიმართ. მოგელნიცკი აწიოკებით, ჩამოხრჩობით და დახვრეტით უმასპინძლდება ყველას, ვინც მოითხოვდა აღამიანურ უფლებას ცხოვრებაზე.

როგორც პირველსა, ისე მეორე ნაწარმოებში ისტოვსკის რევოლუციურ გმირებს დაბრკოლების გადალახვის დროს ახასიათებთ უდიდესი სიმამაცე და თავდადება, ისინი მზად არიან შესწირონ თავიანთი სიცოლე ხელე რევოლუციურ ინტერესებს, რათა იხსნან ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკა მტრების თავდასხმისაგან.

ამგვარ მამაცთა თავგანწირვას უმღეროდა ნიკოლოზ ოსტროვსკი, მიადი გმირები თავით ფეხებაზდე ფოლადით ნაჭედი შევარდნები იყვნენ, ლენინ-სტალინის პარტიის ფრთხებქვეშ გაზრდილხი. და დავაუკაცებულნი:

როცა ოსტროვსკის თვალებს სიკვდილის ბინდი ეფარებოდა, გულში სინაცულად ჩატყვა შეუსრულებელი სურვილი, რომ იგი ვჭრ შიიღებდა მონაწილეობას იმ ბრძოლაში, რომელიც ოდესალაც ვაიმართება კომუნიზმისა და ფაშიზმის შორის. ჩვენ; ოსტროვსკის საშმობლოს შვილებს, ეფვიძლიან ვუთხრათ მას: იძინე მშვიდად, შენ შენი ვალი ალასრულა; როგორც შეჰქვერის ჭრიშმარიტ მებრძოლს. მაგრამ სურვილი, რომელიც შენ გტანჯავდა სიკვდილის წუთებში, ჩვენს მიერ იქნება შესრულებული. საბჭოთა კავშირის დიდი ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად, დაახრჩობს ფაშიზმს, როგორც კაცობრიობის საუკეთესო მომავალის მტერს.